ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 2013 №215 (6216) ფასი: 30 თეთრი

11 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს საამყარო
ოკეანეები
10 ლარი

ბაჩო ახალაია: „არასდროს მეგონა, რომ კრიმინალური ავტორიტეტების გვერდით ჩვენი პროკურატურა აღმოჩნდებოდა“

გვ.3

რატომ ლობირებს კალაძე ნაციონალ-მეჰესეებს



გვ. 5

დღეს ყაზბეგში ხდის ხეობის გადარჩენას შეეცდებიან

თბილისის საკრებულომ მუღლაზანზარისა და დავარის ქუჩები გვაჩუქა

რა დააშავეს ქაჯებმა?! გვ.5

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია ჩინელებმა შეისყიდეს

გვ.2

გიორგი კობახიძე: „ივანიშვილი ნუ გვებუტება!“

გვ.6

გოგა ხაინდრავა: „ნაციონალების ადგილი ციხეშია“

გვ.4

„ბიძინა ივანიშვილი რომ არა, მე ცოცხალი არ ვიქნებოდი“

გვ.3

ცესკოს თავმჯდომარეს 5 დღეში აირჩევენ

ვაზელინგბადი პოლიტიკოსების პრობლემა ქართულ რეალობაში

გვ.6

ISSN 1987-9385

2 ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

4 ცესკოში ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა 80 000-მდე ხელმოწერა წარადგინეს

2 შსს-ში სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებსა და ლიტვის ელჩთან შეხვედრები გაიმართა

4 სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია ჩინელებმა შეისყიდეს

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ ადამიანის უფლებების დამცველ გიორგი თევზაძესთან

ქვეყანაში ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაა, სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო, მაგრამ შეფერხდა. ათასობით საქმე განუხილველად დევს მთავარ პროკურატურაში. უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება ჯერ ვერ ხერხდება.

პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამ შესაძლებელია შეაფერხოს სამართლიანობის აღდგენის პროცესი. მართალია, ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლა მისასალმებელია, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება სამართლიანობის აღდგენა სამოქალაქო საზოგადოების საშუალებით, თუ ამის პოლიტიკური ნება არ იქნება, – განაცხადა ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი თევზაძემ.

გიორგი თევზაძის აზრით, წინა ხელისუფლების დროს წართმეული ქონება ადამიანებმა ჯერ კიდევ ვერ დაიბრუნეს. მათ დღემდე ვერ მიიღეს კუთვნილი ქონება, თუმცა ეგონათ, დაიბრუნებდნენ. არჩევნების შემდეგ დაწყებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეჩერდა. საზოგადოებას იმედი ჰქონდა, არჩევნების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვლებოდა სამართლიანობის აღდგენის კუთხით, რადგან წინა ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა, ამიტომ საჭიროა წართმეული ქონების დაბრუნება, დაუსჯელობის სინდრომის გაქრობა და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება სხვადასხვა უწყებაზე. ახლა საჭიროა თითოეული მოქალაქის სამოქალაქო უფლებების აღდგენა, დევნა-შევიწროების შეჩერება.

– გარკვეულწილად, ბევრი რამ შესრულდა. საზოგადოებას დღეს არ ეშინია ხმამაღლა საუბრის, დღემდე მიდის მსჯელობა, დაიწყოს თუ არა, რეალურად, ეს პროცესი. მოქალაქეები, რომლებსაც ჩამორთმეული ჰქონდათ ქონება, იმედი გაუჩნდათ, რომ შეიქმნებოდა შესაბამისი კომისია, რომელიც უნდა შექმნილიყო ასეთი საქმეების შესასწავლად, თუმცა დღემდე არ შექმნილა. შეიქმნება თუ არა კომისია, არავინ იცის. კუთვნილი ქონების დაბრუნება უნდა დაიწყოს. ალუდა კაპანაძე, გიორგი ჯაფოშვილი და სხვა მოქალაქეები ელოდებიან გადაწყვეტილებების მიღებას ქონების დაბრუნებაზე. მაგალითად, ხვიჩა მეშვილდიშვილი წინა ხელისუფლების პოლიტპატიმარი იყო, რომელსაც პასუხი აგებინეს დაუსაბუთებელი ბრალდებებით, მაგრამ მის მიმართ არ ხორციელდება სამართლიანობის აღდგენა. მეორე, ძალიან მალე შეიძლება გადაწყდეს ქონების დაბრუნების საკითხი, თუ იარსებებს ამის პოლიტიკური ნება, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

– ბატონო გიორგი, თქვენი აზრით, სამართლიანობის აღდგენისა და ადამიანებისთვის ქონების დაბრუნების პოლიტიკური ნება არ არსებობს?

– გვინდა დავიჯეროთ, რომ სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკური ნება არსებობს, მაგრამ ისმის კითხვა, როდის იქნება ეს? საზოგადოება დღემდე მოლოდინის რეჟიმშია. ერთი არჩევნები ჩატარდა, ახლა მომდევნო ტარდება. ბოლოს და ბოლოს, როდის იქნება კონკრეტული შედეგები? თუ ამბობენ, მოდით, ეს არჩევნებიც ჩავატაროთ და მერე განვიხილოთო, ეს უკვე ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს საზოგადოებში.

– თქვენ ამბობთ, რომ ადამიანებისთვის, რომლებსაც წაართვეს ქონება, არ დაუბრუნებიათ?

– მითხარით, ვის დაუბრუნეს ქონება? შეიძლება, ერთი ან ორი ასეთი შემთხვევა იყო, მაგრამ, როდესაც ასობით წართმეულ ქონებაზეა საუბარი, ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ცვლის რაიმეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მთავარ პროკურატურაში მოქალაქეების დიდი რაოდენობით განცხადებებია შესული, რომელთაგან, დარწმუნებული ვარ, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლიან და დასაბუთებულ მოთხოვნას აყენებს. ეს ხალხი ელოდება პასუხს უკანონოდ ჩამორთმეულ ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ არადამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევენ. საზოგადოება დღემდე უშედეგოდ ელოდება ამ კომისიის შექმნას, მაგრამ, როდის შეიქმნება, ამის შესახებ ინფორმაცია დღემდე უცნობი რჩება.

– უცხოელი ინვესტორები, რომლებმაც ჩვენი ობიექტები შეიძინეს, დღეს პრობლემებს უქმნიან ადგილობრივ მოსახლეობას. ახლახან იაშვილის კლინიკაში უცხოელმა ინვესტორმა ჩვენი მოქალაქეები შეავიწროვა. რამდენად ირღვევა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უფლებები?

– იაშვილის კლინიკაში შექმნილი ვითარება საგულისხმოა. ინვესტორი რომ შემოდის, კარგია. მისი სურვილია, განავითაროს კონკრეტული სფერო და ბიზნესი, მაგრამ, როცა ჩვენი მოქალაქეებისა და ადგილობრივი პერსონალის უფლებები ირღვევა, მათ განცხადებით შეურაცხყოფენ, არ აძლევენ ჯვრის ტარებისა და ქართულად ლაპარაკის უფლებას, ყოვლად დაუშვებელია. საერთოდ, როცა სტრატეგიული ობიექტები იყიდება, აუცილებელია, საქმის კურსში იყოს მთავრობა და არ უნდა იდებოდეს საეჭვო გარიგებები. ხშირად გარიგებები იდება ფარული ფორმით, საზოგადოების ინტერესების ხელყოფის ხარჯზე. ამის კონტროლი საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება. აუცილებელია, ასეთი გზით გასხვისებული ობიექტები დაუბრუნდეს სახელმწიფოს. საერთოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ უნდა მოხდეს ასეთი ობიექტების გასხვისება. კახეთში მიწების გასხვისების კუთხით ძალიან მძიმე მდგომარეობა. ეს არის ხელისუფლების ბრალი, რადგან თავის დროზე არ მიიღეს კანონი, რომ აკრძალულიყო ქართული მიწის გასხვისება. უცხოელებმა საქართველოში დაინახეს ნოყიერი მიწები და სიმბოლურ ფასებად ასობით ჰექტარი შეისყიდეს. მარნეულში გასხვისდა ასობით ჰექტარი. ეს მცირე მაგალითებიც საკმაოდ შემაშფოთებელია, რაც ძალიან მალე გახდა ჩვენთვის ცნობილი. მაგალითად, მარნეულის რაიონის ქაფანახჩის საკრებულოს ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში ამა წლის 8 ივლისს დარეგისტრირდა 27 ჰა-ზე მეტი მიწის ნაკვეთი უცხოელი მოქალაქის, ვინმე დალბარა დეულზე და გურბახ სინგჰ გურმზე. 9 ჰა-ზე მეტი მიწის ნაკვეთი შეიძინა გუმან ტარინჯიტ სინგჰზემ და ა.შ. საგანგაშოა ის გარემოება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მასობრივად დიდი ოდენობის მიწების გასხვისება ხდებოდა დაჩქარებული წესით, სანამ ამოქმედდებოდა გარკვეული შეზღუდვები ასეთ გარიგებებზე. კითხვებს ბადებს ამ მოქმედებების კანონიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც კოალიცია „თქვენი უფლებებისათვის“ სპიკერმა, მივმართე შესაბამისი წერილობითი თხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურას ამ საქმეების დეტალური გამოძიებისთვის.

საზოგადოებაში ასევე ვრცელდება ინფორმაცია (რაც გადასამოწმებელია), რომ ბაღდადში ჩინელების მიერ იჩეხება ტყე, თემქაზე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია შესყიდული აქვთ ჩინელებს. მიმაჩნია, რომ საკითხის დარეგულირების მიზნით, თუკი იარსებებს პოლიტიკური ნება, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ამ საკითხის გადაწყვეტა, თუნდაც ქონების გამოსყიდვის გზით.

– ადამიანებს იმედი ჰქონდათ, რომ ბიძინა ივანიშვილის მმართველობის დროს აღდგებოდა სამართლიანობა და ქონების დაბრუნება, თუმცა ის სამოქალაქო სექტორში აპირებს გადასვლას.

– ქართველმა ხალხმა მხოლოდ ერთადერთ ადამიანს მისცა ხმა. ეს იყო ბიძინა ივანიშვილი, რომლის ნდობის ფაქტორმა განაპირობა მისი კოალიციის არჩევნებში გამარჯვება. ქართველ ხალხს სხვა პოლიტიკური ძალებისთვის მანდატი არ მიუცია. კოალიციის სათავეში იყო ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც დიდი ამაგი გასწია ქართველი ხალხისთვის ქველმოქმედების სახით. მოლოდინი დიდი იყო. ამიტომ საფიქრალია, ხომ არ შეფერხდება პროცესი ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ. გადაიდგმება თუ არა ნაბიჯები ყველა იმ დანაპირებთან დაკავშირებით, რომლებიც მის მიერ იყო წინასაარჩევნოდ გაცხადებული. გარკვეული კითხვები აწუხებს საზოგადოებას, რადგანაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ფაქტობრივად, არც კი დაწყებულა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ის გადადის სამოქალაქო სექტორში, რადგან ეს სექტორი ძალიან სუსტია, საკითხავია, თუ რამდენად იღებს და ითვალისწინებს ხელისუფლება სამოქალაქო სექტორის პოზიციას. როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ აუცილებელია შს სამინისტროზე განხორციელდეს სამოქალაქო კონტროლი, რაც დღემდე ფერხდება. სამინისტრო დუმილს ამჯობინებს. ეს რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამაზე არავითარი რეაგირება არ ხდება. რა თქმა უნდა, ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სამოქალაქო სექტორი სუსტი ჩანს ფართო საზოგადოების თვალში. ბიძინა ივანიშვილის განცხადებას სამოქალაქო სექტორში გადასვლის თაობაზე შედეგი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სათანადო სამართლებრივი ბერკეტების ამოქმედებისა და დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში. ჯერჯერობით ამის მხოლოდ სურვილია, თანაც პოლიტიკური ნება გამოკვეთილი არ არის. მაგალითისთვის გამოდგება ჩვენი საზოგადოებრივი მონიტორინგის ქვეშ მყოფი მზაღო მიხელიძის განცხადება, რომელიც, მაღალი ალბათობით, კომერციული ბანკის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების მსხვერპლია. როგორც ვვარაუდობთ, ის კომერციული ბანკის გავლენას ვერ გაექცა. იმის გამო, რომ ამ საქმის გამოძიებით თავად ამ გამოძიებამ მზაღო მიხელიძე ცნო დაზარალებულად, ეს საკითხი სერიოზული განსჯის მიზეზს გვაძლევს.

შსს-ში სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებსა და ლიტვის ელჩთან შეხვედრები გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შორის, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრა გაიმართა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიზანი, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განვითარებული კონფლიქტური და საომარი მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების მოძიება იყო. მხარეებმა, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების მიზნით, სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და შემდგომში ჩასატარებელი ღონისძიებების მოქმედების გეგმა განიხილეს.

გუშინვე, შეხვედრა გაიმართა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორ დავით სუჯაშვილს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორ შალვა კვინიხიძესა და საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ელიტა გაველეს შორის შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ლატვიას შორის სამართალდამცავ სფეროში არსებული თანამშრომლობა და მისი გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ელიტა გაველეს ასევე ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებაც.

ნიუსპრესი

ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქობულეთის რაიონის მუნიციპალიტეტის სამხედრო გაწვევის, აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომელი, 1956 წელს დაბადებული ლევან სურმანიძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან სურმანიძემ, მასზე კანონით მინიჭებული უფლებამოსილების დარღვევით და პირადი გამორჩენის მოტივით, ამავე რაიონში სამხედრო აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების სანაცვლოდ მოსთხოვა და ქრთამის სახით გამოართვა 200 ლარი.

გამოძიებით ასევე დგინდება, რომ დაკავებულის მიერ ამგვარი სახით განხორციელებულ დანაშაულებრივ საქმიანობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომლის გამოვლენის მიზნითაც გამოძიება გრძელდება.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე, სსსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

მედიანიუსი

უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1961 წელს დაბადებული დიმიტრი ჩ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დიმიტრი ჩ.-ს დროებით საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ტე-ტე“-ს სისტემის 2 პისტოლეტი, 4 მჭიდი, 15 ვაზნა, ასევე „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი 35 ვაზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 7 მჭიდი და 211 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, გერმანე ფაცაცია, გარდაიცვალა

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ რესპუბლიკურ საავადმყოფოში საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ასოცირებული დეპუტატი გერმანე ფაცაცია გარდაიცვალა.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გერმანე ფაცაცია დაიბადა 1951 წლის 20 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაში. 1968 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის მე-18 საშუალო სკოლა, 1973 წელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. წლების მანძილზე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელმწიფოებრივ საქმიანობას, მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტებში. 1991 წლიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო, 1990-2004 წლებში იყო საქართველოს პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი, 1995 წლიდან დღემდე – აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრი.

გერმანე ფაცაცია ათამდე მონოგრაფიის, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და ორასამდე სტატიის ავტორი იყო.

ფრონტ-ნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ცესკოს თავმჯდომარეს 5 დღეში აირჩევენ

ნათია ხურცილავა

ჯელეახებში გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, შეიძლება, თამარ ჟვანია გახდეს.

ვინ არის თამარ ჟვანია? არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თამარ ჟვანიას კვალიფიციურ და მაღალ პროფესიონალად ახასიათებენ.

თამარ ჟვანია ამ დროისათვის გაეროს განვითარების საერთაშორისო პროექტებს ხელმძღვანელობს.

თამარ ჟვანია ქართული არასამთავრობო სექტორის კანდიდატია. გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების არჩევანი სწორედ ჟვანიას კანდიდატურისკენ იხრება, თუმცა არაფერია გამორიცხული, რადგან, როგორც კომისიის წევრები ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებენ, მას სერიოზული კონკურენტები ჰყავს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერ ეკა აზარაშვილის განცხადებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, შესაძლოა, დღეს აირჩიონ.

– 5 დღის ვადაში მომავალ თავმჯდომარეს ცესკოში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების მიერ დანიშნული წევრები აირჩევენ, – განაცხადა აზარაშვილმა და განმარტა, რომ ცესკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ რომელიმე კანდიდატი ოთხ ან ოთხზე მეტ ხმას მიიღებს.

თუმცა, როგორც კომისიის წევრებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, ისინი კანონით მათთვის მინიჭებული ხუთდღიანი ვადის ამოწურვას არ აპირებენ და დროის სიმცირის გამო გადაწყვეტილებას მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში მიიღებენ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ნინო გოგუაძე არ გამორიცხავს, რომ კომისიის წევრები კანდიდატებს შეხვდნენ და სხდომამდე გაესაუბრონ.

– სამივე კანდიდატს საარჩევნო გარემოში მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს, – განაცხადა გოგუაძემ. მისივე განცხადებით, 5-დღიანი ვადის გამოყენება საჭირო არ გახდება და, შესაძლოა, ხვალისთვის ახალი თავმჯდომარე აირჩიონ.

კომისიის წევრ ირაკლი ხორბალაძის განცხადებით, დასახელებული კანდიდატებიდან გამორჩეული ფავორიტი თამარ ჟვანიას კანდიდატურაა.

თამარ ჟვანიას კანდიდატურა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრეზიდენტს ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე წარუდგინეს.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატებად თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირეჯიბი გუშინწინ საღამოს დაასახელა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ინფორმაციით, დღეს საგანგებო სხდომა გაიმართება და სწორედ ამ შეხვედრაზე მიიღებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გადაწყვეტილებას.

როგორც ცნობილია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა პრეზიდენტი, სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ, თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკო-ს 3 კანდიდატურას წარუდგენს. ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინასაპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) თავმჯდომარეს 5 დღის ვადაში ირჩევენ.

ასევე კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, იმავე კანდიდატურებიდან ცესკო-ს თავმჯდომარეს 7 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი ირჩევს.

ბაჩო ახალაია: „არასდროს მეგონა, რომ კრიმინალური ავტორიტეტების გვერდით ჩვენი პროკურატურა აღმოჩნდებოდა“

ნათია ხურცილავა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას საქმის არსებითი განხილვა გუშინ განახლდა.

სასამართლო პროცესს მხოლოდ ბაჩო ახალაია ესწრება, დანარჩენი ბრალდებულები: მეგის ქარდავა, დავით ჭაკუა და რევაზ ჭარბაძე სასამართლო განხილვას თავს არიდებენ. საქმეს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე განიხილავს.

ბაჩო ახალაიას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და არაადამიანური მოპყრობა ედება ბრალად.

საქმე ეხება 2006 წლის 26-27 მარტს მომხდარ ე.წ. ციხის ბუნტს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა სასამართლოს წინაშე დააყენეს შუამდგომლობა, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა აღნიშნულ საქმეზე, რადგან გასულია დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა.

ადვოკატ გიორგი ონიანის განცხადებით, ციხის ბუნტთან დაკავშირებით ციხის თანამშრომლების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების საქმეზე გამოძიება დაიწყო 2006 წელს 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულია. მისი ხანდაზმულობის ვადა 6 წელია. შესაბამისად, 2012 წლის მარტში გამოძიება უნდა შეწყვეტილიყო.

ახალაიას ადვოკატების თქმით, ახალმა ხელისუფლებამ ეს გამოძიება უკანონოდ გააგრძელა. იმავე საქმეზე დაკითხეს მოწმეები და ასევე დაიწყეს ახალი გამოძიება იმავე საქმეზე, ისევ 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. რაც არ უნდა გაეკეთებინათ, სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან 6 წელი გასული იყო.

პროკურორი ამ არგუმენტებს არ ეთანხმება. ის ამბობს, რომ ახალაიასა და სხვებს ბრალი წაყენებული აქვთ მძიმე დანაშაულისთვის.

მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ აღნიშნული შუამდგომლობა იმ მოტივით არ დაკმაყოფილა, რომ ის პროცედურების დარღვევით იქნა წარმოდგენილი სასამართლოზე, დაცვის მხარეს ეს შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომაზე უნდა დაეყენებინა.

გუშინ საქალაქო სასამართლოში სამი მოწმე დაიკითხა. თეიმურაზ ტაკიძემ, გურამ მირცხულავამ და კახა ბუცხრიკიძემ სასამართლოს ჩვენება მისცეს. თეიმურაზ ტაკიძე ციხის ე.წ ბუნტის დროს, როგორც თავად აცხადებს, სასჯელაღსრულების სპეციალური დანიშნულების რაზმის დეპარტამენტის უფროსი იყო. რაც შეეხება მოწმე გურამ მირცხულავას, ის ე.წ. ბუნტის დროს მე-11 კლასის მოსწავლე იყო და, როგორც თავად განუცხადა სასამართლოს, მაშინ გარედან იყო ე.წ. მაყურებელი მთაწმინდის რაიონში და ციხის ბუნტის დროს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მესამე მოწმე – კახა ბუცხრიკიძე იმ დროისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობდა.

მოწმეებმა გუშინ ჩვენება ბრალდებულ ბაჩო ახალაიას სასარგებლოდ მისცეს.

პროკურორმა რევაზ ნადიმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ქურდულ სამყაროსთან მებრძოლმა ბაჩანა ახალიამ სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოიყენა ყოფილი კრიმინალური ავტორიტეტი, რომელმაც ბრალდებული დადებითად დაახასიათა.

ბაჩო ახალაია კი აცხადებს, რომ ეს არის ქურდული სამყაროს შურისძიება რეფორმატორთა გუნდზე, რომელმაც მათ ძალაუფლება წაართვეს ციხეში და ქვეყანაში. ბაჩო ახალაია სამწუხაროს უწოდებს და აცხადებს, რომ კანონიერი ქურდების პოზიციას პროკურატურა იცავს.

ახალაიას ადვოკატები ამბობენ, რომ ციხის ბუნტის საქმეზე სასამართლოს სამივე ინსტანციას გადაწყვეტილება გამოტანილი აქვს და გასამართლებული ჰყავს კანონიერი ქურდები – სულ ექვსი პირი, რომლებიც ახალმა ხელისუფლებამ დაზარალებულებად გამოაცხადა.

გუშინ სასამართლო პროცესზე ბრალდებულ ბაჩო ახალაიას სასამართლოს წინაშე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა მისცა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი რევაზ ნადიო წინააღმდეგი იყო.

სასამართლო სხდომაზე ბაჩო ახალაიამ ფიცი დადო, რომ სასამართლოს წინაშე მხოლოდ სიმართლეს ილაპარაკებდა.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა დეტალურად გაიხსენა 2006 წლის 26-27 მარტის მოვლენები. ახალაიამ სასამართლოს განუცხადა, რომ მიუხედავად იმისა, მათ ინფორმაცია ჰქონდათ მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით, პროცესების ასე განვითარება ვერ გათვალეს.

სასამართლოს ბაჩო ახალაიამ შემდეგი ჩვენება მისცა:

– ციხეში ქურდული მენტალიტეტი იყო, მთლიანად სისტემაში და არა მარტო სისტემაში, მის გარეთაც ისინი მართავდნენ. ციხეში მიდიოდა აკრძალული თამაშები. ეს პირები და მათთან დაახლოებული ადამიანები ჩაგრავდნენ სხვა პატიმრებს, რომლებიც ციხეში იმყოფებოდნენ. ადგილი ჰქონდა მკვლელობებსაც. ჩვენ გადავწყვიტეთ, გვემოქმედა კანონის შესაბამისად. ამან გამოიწვია ძალიან დიდი აღშფოთება. შეგვხვდა ძალიან დიდი წინააღმდეგობა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასეთი მასშტაბის არეულობა შეიძლებოდა მომხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ინფორმაცია გვქონდა. ინფორმაციის მიღების შემდეგ დაწყებული იქნა სისხლის სამართლის გამოძიება, – განუცხადა სასამართლოს გუშინ ბაჩო ახალაიამ.

ბაჩო ახალაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

– მინდა გამოვეხმაურო ერთ დეტალს, სადაც საუბარია, რომ მე კანონიერი ქურდი ჩემს სამუშაო კაბინეტში გადმოვიყვანე, ასეთი პრაქტიკა საერთოდ არ არსებობდა არც ჩემ დროს, არც ჩემამდე. თუ სურვილი იქნებოდა პატიმართან შეხვედრის მისი საპყრობილეში მონახულება უფრო მარტივად მოხდებოდა, ვიდრე მისი კაბინეტში კონსპირაციულად, რაღაც „მასკებით“ გადმოყვანა. ასეთ ფაქტს, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ადგილი არ ჰქონია, – აცხადებს ახალაია.

გუშინ სასამართლოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა განუცხადა, რომ ყველა კანონიერ ქურდს იცნობს და იცის, ვინ ვინ არის.

ახალაიას ამ განცხადების განმარტება მოსთხოვა პროკურორმა, რის საპასუხოდაც ბაჩო ახალაიამ აღნიშნა, რომ ის არ გულისხმობს პირად ნაცნობობას.

– ყველა კანონიერი ქურდი ვიცი, მე არ ვამბობ, რომ მათთან პირადი ნაცნობობა მაქვს, პროკურორებისგან განსხვავებით, არც ერთ მათგანთან სუფრაზე არ ვმჯდარვარ და არ ვმეგობრობ მათთან, – თქვა ბაჩო ახალაიამ.

თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას განცხადებით, „არასდროს ეგონა, რომ პროკურატურა კრიმინალური ავტორიტეტების გვერდზე აღმოჩნდებოდა“.

– 2006 წელზე როდესაცაა საუბარი, ეს არის პერიოდი, როცა სახელმწიფოს მხრიდან ქურდული სამყაროსთვის ციხის მენეჯმენტის ჩამორთმევის პროცესი მიმდინარეობდა. ეს იყო რთული და მძიმე პროცესი, რომელმაც არც ისე მარტივად ჩაიარა. ამას ახლდა მისი სირთულეები დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ ახლა ის ისტორია, რაც ბატონმა პროკურორმა აქ წარმოგვიდგინა, გარწმუნებთ, რომ ამას ადგილი არ ჰქონია. ასეთი რამ სინამდვილეში არ ხდებოდა. მე მაშინაც ვფიქრობდი, როდესაც ამ ადამიანებთან ასეთი დაპირისპირება წარმოიშვა, რომ ეს წლების შემდეგ გაგრძელებას ჰპოვებდა და პრობლემებში გადაიზრდებოდა და ახლაც ასე ვფიქრობ, არასდროს მეგონა, რომ ამაში კრიმინალური ავტორიტეტების გვერდზე ჩვენი პროკურატურა აღმოჩნდებოდა, – ასეთი განცხადება ახალაიამ წინა სასამართლო სხდომაზე გააკეთა.

ადვოკატმა გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ პროცესზე ადვოკატების მიერ წარმოდგენილი მოწმეები და ბაჩანა ახალაია დაიკითხნენ. ადვოკატის თქმით, ბაჩანა ახალაია ციხის ბუნტის ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ცნობს, ხოლო პროკურატურის ბრალდებებს პოლიტიკურად აფასებს. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეზე ე.წ. კანონიერი ქურდების მიერ დაწერილ ჩვენებებს, ახალაია განმარტავს, რომ მათ მის წინააღმდეგ ჩვენებები პირადი შურისძიების მოტივით დაწერეს.

რევაზ ნადიო, პროკურორი:

– დღევანდელ სხდომაზე დაცვის სამი მოწმე დაიკითხა. მოწმეებს რაიმე ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია სასამართლოსთვის არ მიუწოდებიათ. პირიქით, გაირკვა ერთი რამ: ეს მოწმეები თავის დროზე ბრალდებულ ახალაიასთან სამსახურებრივად იყვნენ დამოკიდებული და არიან მისი მეგობრები. ახლო ურთიერთობა გააჩნიათ. შესაბამისად, სახეზეა მათი საქმის შედეგისადმი დაინტერესება. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო მათ ჩვენებას ვერ გაიზიარებს. რაც შეეხება ბაჩო ახალაიას ჩვენებას, მას სასამართლო შეაფასებს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები, როგორც მოწმეთა ჩვენებები, ასევე დასკვნები, სხვადასხვა მტკიცებულებები სავსებით საკმარისია, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს.

აღნიშნულ საქმეზე დასკვნითი პროცესი 17 სექტემბერს გაიმართება, სადაც მხარეები საბოლოო სიტყვით გამოვლენ. ამის შემდეგ კი მოსამართლე ახალაიას მიმართ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ მხარეებს 12 სექტემბერი შესთავაზა საქმის განახლების დროდ, პროკურორმა 1 ოქტომბერს მოითხოვა სხდომის განახლება, არგუმენტად კი დროის სიმცირე დაასახელა, თუმცა მოსამართლემ მომდევნო სხდომა 17 სექტემბერს ჩანიშნა.

– მე უფრო მეტ დროს მოვითხოვდი, მიმაჩნდა, რომ დრო არ იყო საკმარისი, თუმცა სასამართლომ დრო განსაზღვრა და ჩვენ მის გადაწყვეტილებას ვემორჩილებით, – განაცხადა პროკურორმა რევაზ ნადიომ.

როგორც აღვნიშნეთ, ახალაიას ციხის ბუნტის ეპიზოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. პროკურატურამ ახალაია ე.წ. კანონიერი ქურდების ჩვენების საფუძველზე დაადანაშაულა, თუმცა მოგვიანებით ბრალდების მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლოში დაუშვებლად ცნეს.

ადვოკატები იმედოვნებენ, რომ მოსამართლე აღნიშნულ საქმეზეც ახალაიას მიმართ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

როგორც ცნობილია, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია ე.წ. სენაკისა და ვაზიანის ეპიზოდში, სადაც პროკურატურა თავდაცვის ყოფილ მინისტრს, სამხედროების წამებასა და წამების ორგანიზებაში ადანაშაულებდა, სასამართლომ გაამართლა. ახალაია ზვიად აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდშიც გამართლდა.

გოგა ხაინდრავა: „ნაციონალების ადგილი ციხეშია“

„ბიძინა ივანიშვილი რომ არა, მე ცოცხალი არ ვიქნებოდი“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

— ბატონო გოგა, მოდით, მედიაში მიმდინარე პროცესებზე საუბრით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ. რა ხდება? „მეცხრე არხი“ დაიხურა, ახლა „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ აქვს პრობლემები. რა ხდება, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

— საზოგადოებრივ მაუწყებელზე პრობლემები კი არ არის, საზოგადოებრივ მაუწყებელს კეთრი აქვს, კეთრი, კეთროვანი ორგანიზაციაა იმ თავითვე, რაც შეიქმნა. ის არასოდეს არ ყოფილა საზოგადოებრივი მაუწყებელი, ის ყოველთვის სამთავრობო და სამლიქვნელო მაუწყებელი იყო, რომელიც ემსახურებოდა ყველა ხელისუფლებას. დღეს მისი ბორდი არის ნაციონალური მოძრაობის ნარჩენი, ნამსხვრევი, ეს აბსოლუტურად ცალსახაა. ამიტომ, ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენ ეს უნდა დავამთავროთ. უნდა მორჩეს ეს მწვალებლობა, რომელშიც ჩავარდნილია ეს დაწესებულება, რომელსაც ჩვენ ყველანი უამრავ ფულს ვუხდით ჩვენი ჯიბეებიდან. ეს უნდა დამთავრდეს, უნდა გაირეკოს ის ბრბო, რომელიც დღეს ჩემულობს ბორდობას. უნდა აირჩეს წესიერი, პატიოსანი ხალხი. ასეთები საქართველოში უამრავი გვყავს, პასუხისმგებლიანი და რაც მთავარია, ბატონყმობა უნდა მორჩეს ქვეყანაში და მე ვფიქრობ, ამის მშვენიერ მაგალითებს იძლევა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, როგორ უნდა მორჩეს ბატონყმობა. იმედია, რომ ქართველი საზოგადოებაც აყვება ამას და შეუდგება თავისუფალი მოქალაქეების ცხოვრებას და ეს ბორდს ეხება პირველ რიგში. რაც შეეხება „მეცხრე არხს“, ეს ბიძინა ივანიშვილის საკუთრება იყო და ახლა დახურავს, გაყიდის, გახსნის თუ რას იზამს, ეს მისი პირადი საქმეა. ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც სახელოვანი ნაბიჯი გადადგეს „მეცხრე არხის“ თანამშრომლებმა, როდესაც გამოცხადებისთანავე დახურეს არხი. მე არა მგონია, რომ ეს ნაბიჯი საკუთარი მაყურებლისადმი პატივისცემით იყო გამსჭვალული. მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესები მედიაში წავა, იმიტომ, რომ მედიაც უნდა გათავისუფლდეს იმ წნეხისა და იმ სიბინძურისგან, რომელშიც ის იყო და არის სამწუხაროდ. თავისუფალი ამ მედიას მხოლოდ სიტყვა ახლავს, თორემ რამდენად არის თავისუფალი და, მით უმეტეს, მიუკერძოებელი და პროფესიონალური, ეს კიდევ სხვა საკითხია. მედიასაც შეეხება ეს პროცესები და საერთოდ მე ვფიქრობ, რომ ქვეყანა სწორი გზით და სწორი განვითარებით მიდის. თუ მაინცდამაინც რაღაცა მუხანათური ნაბიჯი არ იქნება ჩვენი ე.წ. მეგობრებისგან და რაღაცა განსაკუთრებულ ორმოს არ გაგვითხრიან, რომელშიც თავს ამოვყოფთ, მე ვფიქრობ, რომ სწორი განვითარებით მიდის და უახლოეს მომავალში ძალიან საგრძნობი ნაბიჯები იქნება გადადგმული როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გაჯანსაღების თვალსაზრისით ქვეყანაში. ყოველ შემთხვევაში, მე მაგის მოლოდინში ვარ.

— ბატონო გოგა, კარზე მოგვადგა საპრეზიდენტო არჩევნები და საუბარია, რომ ძირითადი ბრძოლა მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს შორის გაიმართებაო. ვხედავთ, თუ როგორი დაპირისპირებაა მათ მხარდამჭერებს შორის...

— ჩვენ ვერაფერს ვერ ვხედავთ, თქვენ რატომ ხედავთ, არ ვიცი. ისინი სხვადასხვა წნონი კატეგორიაში მყოფი ადამიანები არიან და გიორგი მარგველაშვილი არის უალტერნატივო კანდიდატი პრეზიდენტობის. ნინო ბურჯანაძეს, ჩემთვის საერთოდ გაუგებარია, ასეთი მოუთმენელი რა ჭირს, რა უნდა, ვერ გავიგე? საერთოდ როგორ დააყენა თავისი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად?! აი ეს არის ჩემთვის გასაკვირი, მისი ბიოგრაფიის პატრონმა და მისი ახლო წარსულის პატრონმა. ეგ არის გასაკვირი, თორემ არანაირი ბრძოლა მაგათ შორის არ იქნება, ისინი სხვადასხვა განზომილებაში მყოფი ფიგურები არიან. ჩემი ღრმა რწმენით, გიორგი მარგველაშვილი ამ ეტაპზე არის უალტერნატივო კანდიდატი, ახლოსაც ვერ მივა მასთან ბურჯანაძე. ნინო ბურჯანაძის ასპარეზი იქნება შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე, დავით ბაქრაძე... ისინი დაახლოებით 10%-ის ფარგლებში ეჭიდავებიან ერთმანეთს. მანდ გამოჩნდება, რომელია ახლა მათში უფრო „მაგარი“, ოღონდ არა მარგველაშვილთან ჭიდაობაში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მარგველაშვილი უალტერნატივო კანდიდატია?

— ვფიქრობ კი არა, ამაში დარწმუნებული ვარ! რაც მთავარია, მარტო მე კი არა, ქართველი ამომრჩეველიც ასე ფიქრობს. მე ვფიქრობ, რომ დრო მოვიდა, საქართველოში პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი, რაღაც კონიუნქტურებიდან თავისუფალი და ყიდვა-გაყიდვისგან თავისუფალი, სუფთა პოლიტიკოსი მოვიდეს ქვეყნის სათავეში. რომელსაც არ ექნება ტვირთი. ის ტვირთი, რომელიც ნინო ბურჯანაძესაც და ყველა დანარჩენებსაც აგრერიგ ამძიმებს. ასე რომ, აქ ორი აზრი არ არსებობს... ამ პარტიაში ყველაფერი ნათელია. შემდეგ რა იქნება, ვნახოთ...

— თქვენ ფიქრობთ, რომ ბურჯანაძის პოლიტიკურ წარსულშია პრობლემა?

— რა თქმა უნდა, საერთოდ მის პოლიტიკურ ფიგურაში. კომკავშირით რომ დაიწყებ და ნაციონალური მოძრაობით გააგრძელებ მთელ შენს ცხოვრებას, ახლა არა მგონია, რომ ძალიან დიდი პრეტენზია გქონდეს დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტობაზე. მით უმეტეს, იმ ნაბიჯების გადამდგმელი, რა ნაბიჯებიც გადადგა ნინო ბურჯანაძემ 7 ნოემბერს, ძალიან საამაყოდ რომ აქვს, და გინდაც 26 მაისს. ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, აბსოლუტური უპასუხისმგებლო პოლიტიკურ ფიგურასთან გვქონდა საქმე და ამას ხალხი არ ივიწყებს ასე მარტივად. ახლა მაგას ჰგონია, რომ მისი ნაციონალურ-კომკავშირულ-კომუნისტური წარსული ჩამოწერილია უკვე, ეგრე არ არის. არც ერთ ეტაპზე, არც ერთ პატიოსან გაერთიანებაში არ იყო. დასაწყისში იყო კომუნისტურ პარტიაში, მერე იყო მოქალაქეთა კავშირში, მერე იყო ნაციონალურ მოძრაობაში. სამივე ანტიქართული ორგანიზაცია იყო თავისი მოღვაწეობით და მოღვაწეობის შედეგით. ახლა რატომ უნდა აირჩიოს ქართველმა ხალხმა და რატომ უნდა ენდოს, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ახლა დავით ბაქრაძეზე აღარ ვლაპარაკობ, ის საერთოდ ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენელია და სისხლის სამართლის დამნაშავე. ისევე, როგორც მისი პოლიტიკური მეგობრები — სააკაშვილები, ბოკერიები და ძმანი მისნი. სხვა კანდიდატებს რა შანსები აქვთ, ამაზე, მე ვფიქრობ, ქართველი საზოგადოება თავის ვერდიქტს გამოიტანს.

— ბატონო გოგა, რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, მისმა განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში, თუმცა გასაკვირია, ამას რატომ აპროტესტებენ ნაციონალები, რა ხდება, თქვენი აზრით, ასე რისი ეშინიათ?

— მართლმსაჯულების ეშინიათ ყველაზე მეტად. ბუნებრივია, ეშინიათ იმ პასუხისმგებლობის, რომელიც აუცილებლად მოუწევთ. გარდა ამისა, ეს აბსოლუტურად დესტრუქციული ძალაა, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში აჩვენა თავისი უარყოფითი ნეგატივი. ეგენი დამანგრევლები არიან, არაფრის შემქმნელები არ არიან. ახლა, როდესაც ნათელია, რომ მთელი მაგათი მოღვაწეობა კრახით დამთავრდა, პოპულიზმით ცდილობენ ფონს გასვლას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ესეც აბსოლუტურად უპერსპექტივოა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის წასვლას, მე ვფიქრობ, რომ ასეთი თანმიმდევრული პოლიტიკოსი საქართველოში არ მახსოვს. მართალი გითხრათ, არ მახსენდება არც ერთი. გარდა ამისა, ყველა იმ განცხადებას ამა თუ იმ დროს აკეთებს, აკეთებს ზუსტად და ასრულებს ისე, როგორც აცხადებს. მერე ქმნის პრეცედენტებს, რაც აბსოლუტურად გადამწყვეტია ქართველი საზოგადოებისთვის. ის ლაპარაკობს, რომ მითები უნდა დამთავრდეს საქართველოში, მითოლოგია პოლიტიკაში უნდა მორჩეს. ყველა ადამიანი არის უბრალო ადამიანი და ის, რომ მათ რაღაცა გარკვეული ხნით ირჩევენ ამა თუ იმ თანამდებობაზე, სულ არ ნიშნავს იმას, რომ მითოლოგიური პერსონა უნდა გახდეს. ამიტომ ის ქმნის პრეცედენტებს. მაგალითად, პრეცედენტებს ბოროტებაზე გამარჯვების, როდესაც არჩევნებში დაამარცხა ის სიბინძურე, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია და მის უკან მდგომი ძალიან სერიოზული ძალები როგორც ჩრდილოეთში, ისე დასავლეთში. პრეცედენტებს ქმნის, როდესაც იძახის, რომ ხელისუფლებიდან მივდივარ. ის ამით მაგალითს აჩვენებს აბსოლუტურად უმადურ საზოგადოებას.



— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენი საზოგადოება უმადურია?

— რაც ყველაზე დიდი ნაკლია ქართველი საზოგადოების, სამწუხაროდ, ეს არის უმადურობა, რომელიც ყველა მხრიდან მესმის. თურმე ბიძინა ივანიშვილს დაუდგა გვერდზე ვიღაც-ვიღაცები და ხელისუფლებაში მოიყვანეს, როდესაც ეს ივანიშვილს აბსოლუტურად არ სჭირდებოდა. ძალაუფლება რომ მას ჰქონდა, ძალაუფლება მაგას ჰქვია... მე ვფიქრობ, რომ პირიქით, ის დაუდგა ქართველ ხალხს და იმ განავალიდან ამოიყვანა, რომელშიც მთელი საზოგადოება იყო ჩაფლუღი, ზოგჯერ ნებსით და ზოგჯერ უნებლიეთ. ასე რომ, ესეც კიდევ ერთი გამოვლინებაა კერპთაყვანისმცემლობის, რომელიც ასე გამეფებულია ჩვენს საზოგადოებაში. ჯერჯერობით თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქეების ერთობა არ არის შექმნილი და ზუსტად მაგ ერთობის შესაქმნელად აპირებს გადასვლას სამოქალაქო სექტორში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სტაბილური ხელისუფლება. ხელისუფლება ეყრდნობა სტაბილურ საზოგადოებას. ჩვენთან, როგორც ჩანს, საზოგადოება არც თავისუფალია და არც სტაბილური. ერთი ვაივაში ატყდა იმაზე, რომ ერთი ადამიანი აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას. იტალიაში ხელისუფლებები და საპარლამენტო არჩევნები კვირაში ერთხელ იცვლება და ტარდება, მაგრამ ამის გამო იტალია არ ინგრევა და იტალიის მოქალაქეები თავზე ნაცარს არ იყრიან. თვითონ ის პრეცედენტი, რომ არა ერთ ადამიანზე იქნება დამოკიდებული ქვეყანა და საზოგადოება, არამედ საზოგადოების სიძლიერეზე, რომელიც გარკვეული ეტაპებით აირჩევს გარკვეულ ხალხს ხელისუფლების სათავეში, ეს ძალიან კარგი პრეცედენტია, რასაც კიდევ უფრო ვუმადლი. თუმცა ჩემი მადლიერების ახსნა, მხოლოდ სიტყვებით ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, მე ვფიქრობ, რომ დღეს ცოცხალი ან ვიქნებოდი, ან არა, მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც.

— რა იგულისხმეთ თქვენს განცხადებაში? რატომ უმადლით ივანიშვილს, ცოცხალი რომ ხართ?

— რა ვიგულისხმე და ვიგულისხმე სააკაშვილის რეჟიმი. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მათ რომ კიდევ ერთხელ უზურპაცია გაეკეთებინათ ხელისუფლების, აქ სისხლის კალოები დადგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემნაირი ადამიანები ან გადავრჩებოდით, ან არა. მე ნამდვილად ასეთი შეგრძნება მქონდა და ვთვლი, რომ ივანიშვილმა სიცოცხლე შემინარჩუნა მეც და ჩემს ოჯახსაც.

— ბატონო გოგა, ივანიშვილის წასვლის შემდეგ, თქვენი აზრით, რამდენად შეინარჩუნებს მისი გუნდი სტაბილურობას, რამდენად ძლიერ მინისტრთა კაბინეტს ტოვებს? საუბარია, რომ კოალიცია არ არის ერთსულოვანი და მალე დაიშლება...

— რატომ უნდა იყოს ერთსულოვანი? ერთსულოვანი იყო ის ცხვრების ფარა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ერქვა და რომელიც 9 წლის განმავლობაში მათი ბელადის ხმაზე ბღაოდა. აი, ეს იყო ერთსულოვნება დღევანდელი გაგებით. ერთსულოვნება არის თავისთავად ის, რომ ეს კოალიცია შეიქმნა. იქ საკმაოდ სერიოზული პოლიტიკოსები არიან თავმოყრილები. სამწუხაროდ, უკეთესები საქართველოში არ არსებობს. კარგი იქნებოდა, რომ უკეთესები შეერჩია ივანიშვილს, მაგრამ რაც იყო, ის შეარჩია, ამაზე უკეთესი არ არსებობს. ჩვენ ახალ პოლიტიკურ ელიტას ვერ შევქმნით, ამას დრო სჭირდება, ამას სწავლა სჭირდება, ამას უამრავი გამოცდილება სჭირდება... რაც იყო, იქიდან საუკეთესოები შეარჩია. ამაზე უკეთესები არ არიან. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ როგორები არიან, ისეთები არიან, როგორებიც არიან. თუ ვინმე უკეთესი იცით, იქნებ დამისახელოთ.

— რამდენად არიან ერთგულები?

— ისინი ბიძინას ერთგულები არ უნდა იყვნენ, ისინი თავისი ქვეყნის ერთგულები უნდა იყვნენ და თავის ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ. მისი ერთგულები კი არა, საქმის ერთგულები უნდა იყვნენ. აი სწორედ ამის წინააღმდეგ წავიდა ივანიშვილი, როცა განაცხადა, რომ მესიანიზმი უნდა დასრულდესო. ეს ხალხი თავისი განცხადებული პოლიტიკის ერთგულები უნდა იყვნენ და მე იმედი მაქვს, რომ იქნებიან. ახლა რაც საზოგადოებაა, ის არის პოლიტიკური სპექტრი, ცოტა უარესებიც საზოგადოებაზე, იმიტომ, რომ როგორც წესი, კარიერული წინსვლა პირველ ადგილზე უდგათ. ესეც სენია და გადაივლის დროთა განმავლობაში. მე ვფიქრობ, თუ რამე ნაკრებია, არის იქიდან, რისი შეგროვებაც შეიძლებოდა. ისეა, როგორც საფეხბურთო ნაკრები. ჯობია, რომ უკეთესი ფეხბურთელები იყვნენ და უკეთესად თამაშობდნენ, საქართველოს ნაკრები მყავს მხედველობაში. ვერ თამაშობენ უკეთესად და სამწუხაროდ ამაზე უკეთესებიც არა გვყავს ამ ეტაპზე. ეგრეა პოლიტიკაშიც, რაც არის, ეგ არის რა! ის, რომ ეს ცუდია და ამაზე უკეთესი პოლიტიკოსები არსებობენ, მაშინ ამაში ვინმემ დამარწმუნოს. მე დღეს ამათზე უკეთესებს ვერ ვხედავ, ისინი, ვინც ქართულ ოცნებაში არიან შეკრებილნი.

— ბატონო გოგა, როდესაც თქვენ საუბრობთ, რომ ივანიშვილმა ბოროტი ძალა, ნაციონალების სახით დაამარცხა, როგორ ფიქრობთ, აღარანაირი საფრთხე არსებობს? ისინი სრულად არიან განდევნილები პოლიტიკიდან? საუბარია, რომ არის საფრთხე მათი ხელისუფლებაში დაბრუნების...

— ისე არ იყოს ჩემი მტერი, ისინი რომ კვლავ ჩაიგდებენ ხელში ხელისუფლებას. რისი ხელისუფლების ჩამგდებები არიან ეგ ფარჩაკები. როცა ჩაუვარდათ ხელისუფლება, ესეც ისტორიული უკუღმართობის ბრალი იყო. ჩვენი უნიათობის ბრალი იყო და იმის მშვენიერი მაგალითი, სადამდე მიიყვანა შევარდნაძემ ქვეყანა, რომ ამისთანა ფარჩაკებმა და უვარგისებმა ჩაიგდეს ქვეყანა ხელში და მის ფონზე გახდნენ დიდი რეფორმატორები. ვერანაირ ხელისუფლებას ისინი ვერ დაიბრუნებენ და ვერსად, ციხის გარდა, ისინი ვერსად წავლენ. ამიტომ ამის საშიშროება აბსოლუტურად არ არის. სხვა საქმეა, რამდენად გონიერი აღმოჩნდება პოლიტიკური სპექტრი მას შემდეგ, რაც ივანიშვილი დატოვებს პოლიტიკას. ამას ვნახავთ, ვინც გამოდგება, გამოდგება, ვინც არ გამოდგება, იმას შევცვლით. ყოველ შემთხვევაში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დღეს საქართველოსთვის, მე ვფიქრობ, არის ის, რომ მითი ხელისუფლების უძლეველობის შესახებ არის დანგრეული. არანაირი უძლეველი ხელისუფლებები საქართველოში არ არის და არც იქნება არასოდეს. ივარგებენ, ხომ კარგი, არ ივარგებენ და შევცვლით და ეგ იქნება. შეუცვლელი არავინ არ არის.

ცესკოში ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა 80 000-მდე ხელმოწერა წარადგინეს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, გუშინ, პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერისა და პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლებმა გიგლა ბარამიძემ, ირაკლი ჭყოიძემ, თემურ ლომსაძემ და ქეთევან ზაქარეიშვილმა, პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა 80 000-მდე ხელმოწერა წარადგინეს.

„წარმოვადგინეთ 80 000-მდე ხელმოწერა. დიდი აქტიურობა შეინიშნება რეგიონებში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ამომრჩევლებისა, თბილისში ფიქსირდება. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ თუ არჩევნები დემოკრატიულ და რეალურად ჯანსაღ გარემოში ჩატარდება, ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო არჩევნებს აუცილებლად მოიგებს“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძის თბილისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა გიგლა ბარამიძემ.

ნიუსპრესი

სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს

სააპელაციო სასამართლომ გუშინ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, საარჩევნო კომისიაში ვერ დარეგისტრირდება.

სალომე ზურაბიშვილი სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სამართლებრივად უწოდებს და ამბობს, რომ ის ბრძოლას განაგრძობს.

პარტია ,,საქართველოს გზის“ ყოფილმა ლიდერმა, დღეს ჟურნალისტებს ის დოკუმენტიც წარუდგინა, რომელიც მას, მისივე თქმით საფრანგეთის საელჩოში ჰქონდა შეტანილი და რომლის შინაარსიდან გამომდინარე, პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში, ის მზად იყო საფრანგეთის მოქალაქეობა დაეტოვებინა.

სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნული დოკუმენტი სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ დემონსტრაციულად დახია.

შეგახსენეთ, რომ სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო კადიდატად დარეგისტრირებაზე უარი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უთხრა. ცესკოს გადაწყვეტილება კი, რამდენიმე დღის წინ, თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონიერად სცნო.

ნიუსპრესი

დღეს ყაზბეგში ხდის ხეობის გადარჩენას შეეცდებიან

რატომ ლობირებს კალაძე ნაციონალ-მეჰესეებს

შორენა მარსაგიშვილი

დღეს ყაზბეგში დაძაბული ვითარება იქნება. გამგეობის შენობაში ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა გაიმართება. მიმდინარე წლის მარტის თვეში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ მეჰესეებს უარი უთხრა ჰესის აშენებაზე. ეკოლოგების და გეოლოგების დასკვნით, ჰესის მშენებლობა უნიკალურ ხეობას კატასტროფამდე მიიყვანს.

გარემოს დაცვის სამინისტროს დასკვნიდან რამდენიმე დღეში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ყაზბეგში ჩავიდა და მეჰესეები მოინახულა. იქ მან განაცხადა, რომ ეს ჰესი აუცილებლად აშენდებოდა. უფლებადამცველებმა კალაძე გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაში დაადანაშაულეს. საგანგებო მიმართვა დაიწერა პრემიერის და პატრიარქის სახელზე. სამწუხაროდ, რეაგირება არც ერთის მხრიდან არ ყოფილა. სხვათა შორის, ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ საპატრიარქოში მავანი და მავანი ამ ჰესების აშენებას კურირებსო.

ალბათ ამიტომაც იყო, რამდენიმე თვის წინ მეჰესეებმა ხელმოწერების შეგროვება რომ დაიწყეს. მოსახლეობას ეუბნებოდნენ, ჰესებს პატრიარქის კურთხევით ვაშენებთო. ეს ამბავი მალე გასკდა და ოპერაცია „ნაკურთხი ჰესები“ ჩაუვარდათ. მერე სხვა გზა გამონახეს და ჰესების აშენებაზე ნებართვა ათეულობით მკვდარ სულს სთხოვეს. არასამთავრობო ორგანიზაციამ „სტეფანწმინდა“ ამ ხელმოწერებში ასეულობით დარღვევა აღმოაჩინა, რაც შემდეგ ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინეს.

კალაძემ და მისმა კანტორამ არაფრით არ მოისვენეს და კვლავ აგრძელებენ ბრძოლას ჰესისთვის. დღეს, როგორც უკვე გითხარით, ყაზბეგში ხმაურიანი განხილვა გაიმართება. ამჯერად მოსახლეობა ხდის ხეობის გადასარჩენად ერთიანდება. დარიალის ხეობის გადარჩენა უკვე შეუძლებელია. აქ ჰესის აშენება ნაციონალების დროს დაიწყეს. როგორც ამბობენ, ამ მშენებლობის უკან ვანო მერაბიშვილი იდგა. თავად მეჰესეები კი ნაციონალების შემომწირველები არიან. მათ ათეულობით ათასი ლარი აქვთ ნაცმოძისთვის გადარიცხული.

არა, გიგანტურ ჰესებს!

ეკოლოგებმა და გეოლოგებმა ბევრჯერ დადეს უარყოფითი დასკვნა, მაგრამ, ამაოდ. არგუმენტებს დღესაც მოვისმენთ. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ გიგანტური ჰესები სერიოზულ პრობლემებს შექმნის დარიალის ხეობაში. ამ მშენებლობებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო დასკვნა დადო ცნობილმა გეოლოგმა იაგო კაზალიკაშვილმა.

– ინტერნეტში შემთხვევით ვნახე ლარსი (დარიალ) ჰესის პროექტი, გამოქვეყნებული ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, რის გამოც თავი მოვალედ ჩავთვალე გამემხილა ჩემი ხედვა.

ძირითადად ჩამაფიქრა სალექარის მდებარეობამ, რომელიც მდ. ყუროს და თერგის შესართავთანაა დაგეგმილი. თავად დაბა სტეფანწმინდა მდ. ყუროსა და მის სამხრეთით მდებარე ორი ხევის მიერ შექმნილ გამოზიდვის კონუსზე მდებარეობს.

დაბა სტეფანწმინდიდან ჩრდილოეთით, მდ.თერგს ერთმანეთისგან 200-300 მეტრის დაშორებით მარჯვნივ კიდია მდ. ყურო ერთვის, მარცხნიდან – მდ. ჩხერი. მათი შეერთების ადგილი მძლავრი კონგლომერატების წარმოქმნით გამოირჩევა. ორი მდინარის მიერ გამოტანილი ნაშალი მასალის ტრანსპორტირება – თერგის ფუნქციაა. ამასთან, პალეოგეოგრაფიულ პერიოდში, თერგი ვერ ასწრებდა რა ყუროსა და ჩხერის მიერ წარმოქმნილი ნაშალის გატანას, წარმოიქმნა ვაკე ჭალები სტეფანწმინდიდან სიონის და სნოს ხეობის მიმართულებით.

ყურო-ჩხერის თერგთან შეერთების შემდეგ კი სტეფანწმინდიდან დარიალის მიმართულებით მდ. თერგის მკვეთრი ვარდნა – სწორედ ამ მდინარეთა მიერ შექმნილი დაგროვილი ინერტული მასალის შედეგია.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მდ. თერგი ვერ უზრუნველყოფს ნალექის სწრაფად ტრანსპორტირებას. ანუ, იმდენად დიდია ყუროსა და ჩხერის მიერ ჩამოტანილი ნალექი, რომ თერგი გატანას ვერ ახერხებს.

სტეფანწმინდელები თითქმის ყოველდღე უყურებენ და უსმენენ, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, მწვერვალ ყუროდან წამოსულ ქვის ზვავებს, რომელიც გამოფიტვის შედეგად (ფიზიკური და ა.შ.) წარმოიქმნება. აღნიშნული ზვავებით ჩამოტანილი ქვა-ღორღი გროვდება მდ. ყუროს ვიწრო ხეობაში, მდინარე კი, ასე თუ ისე, ტრანსპორტირებას უკეთებს ნაშალ მასალას მდ. თერგისაკენ. თერგი თავის მხრივ წმენდს ყუროს მიერ მოტანილ მასალას და დარიალისაკენ მიაქვს იგი. ზაფხულის ცხელ დღეებში, მყინვართა დნობისას, მდ. ყურო ზვავების მიერ დაგროვილ მასალას განსაკუთრებით ინტენსიურად ჟღინთავს წყლით, გადააქცევს ღვარცოფად და სელური ნაკადის სახით მიაქანებს მდ. თერგისაკენ. ყუროს მიერ წარმოქმნილი სელური ნაკადი გზად ყველაფერს ანადგურებს, მის მიერ ერთ ჯერად ჩამოტანილი მასალა ასეულობით კუბურ მეტრს შეადგენს, რამდენჯერმე თერგიც გადაუკეტავს.

ყუროდან სელური ნაკადების გამოსვლა წელიწადში რამდენჯერმე ხდება!

ყურო-თერგის ბუნებრივი ბალანსი ძალზე მგრძნობიარეა და დღეისთვის, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია!

რუკაზე ნაჩვენებია სალექარის მდებარეობა, რომელიც ღვარცოფული მდ. ყუროსა და თერგის შესართავთანაა. ჩემი აზრით (თუ ვინმემ მომისმინა), ყოვლად დაუშვებელია მანდ რაიმე მშენებლობის წარმოება! და აი რატომ:

1. აღნიშნულ ადგილას სალექარის მოწყობის შემდეგ მდ. თერგი, რომელიც ტრანსპორტირებას უწევს თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებიდან წამოღებულ მასალას, დაგროვდება ყუროს და ჩხერის შესართავებთან, რაც გამოიწვევს თერგის კალაპოტის აწევას ათეული მეტრობით! (სამაგალითოდ იხ. მდ.არაგვის ჭალები სოფ ანანურთან!).

2. 2. ღვარცოფული მდ. ყურო თავის ჩამოტანილ მასალას ვეღარ გაატანს თერგს, იგი დაგროვდება, გამოავსებს ისედაც ვიწრო ყუროს ხეობას, რის შედეგადაც დაბა სტეფანწმინდა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება!

3. მდ. ჩხერიც იგივეს იზამს, რასაც ყურო! (მაგალითისთვის იხ. არაგვის ხეობა მლეთასთან ლომისის მიდამოები).

გარდა ამისა, თუ წყალი მთლიანად შეუშვეს გვირაბში სტეფანწმინდიდან გველეთამდე, ჩემი აზრით, ისედაც მწირ ბუნებრივ საფარსაც საფრთხე შეექმნება და აი რატომ: ხეობაში დაშრება წყალი, რომელიც თავის მხრივ აერაციის ზონასა და გრუნტის წყლის დონის ცვალებადობას გამოიწვევს. დონის ცვალებადობის შედეგად – ბუნებრივი საფარი გაქრება.

თუ ვინმეს გედარდებათ ეს ყველაფერი, ხმა ამოიღეთ!!!! თავის დროზე, სწორედ აღნიშნულ ადგილას, დიდი კაშხლის მშენებლობა კომუნისტებს ნიკო კეცხოველმა შეაჩერებინა, – წერს კაზალიკაშვილი თავის დასკვნაში.

სამწუხაროა, რომ ეს დასკვნა არც ძველმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა და ახალმაც არაფრად ჩააგდო. არადა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო ის, რომ გიგანტური ჰესების მშენებლობა შეჩერდებოდა.



ხდის ხეობის გადასარჩენად

ხდის ხეობა, რომელიც ახლა დიდი დაპირისპირების საგანია, თავის დროზე წითელ წიგნში იყო შეტანილი. ნაციონალების და მეოცნებეების წყალობით კი შესაძლოა ეს უნიკალური ხეობა განადგურდეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ განმარტებით, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა „წითელ წიგნში“ შეტანილ ბუნების ძეგლს – ხდის ხეობას, ასევე მის ფლორას და ფაუნას საფრთხეს უქმნის.

ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე, ბროლისწყალზე, 6 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას შპს „ყაზბეგი ჰესი“ გეგმავს. პროექტის თანახმად, „ბროლისწყლის ჰესის“ საპროექტო ტერიტორია განთავსებული იქნება ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში. „ბროლისწყლის ჰესი“ დერივაციული ტიპის ჰესი იქნება და „დარიალის ჰესის“ მსგავსად, ითვალისწინებს დერივაციის მონაკვეთში (1 კმ-ზე მეტ მანძილზე) მდინარეში მხოლოდ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას.

„ბროლისწყლის ჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას, ს/ს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის მემორანდუმი 2012 წლის 13 ივლისს გაფორმდა. მემორანდუმი მდინარე ბროლისწყალზე არაუმცირეს 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას გულისხმობს. მემორანდუმის თანახმად, მშენებლობა 2012 წლის 10 ოქტომბერს დაიწყო და 2013 წლის 16 აგვისტოს უნდა დასრულდეს. ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა 3 მილიონი აშშ დოლარია.

გარემოსდამცველების შეფასებით, ჰესის აშენება ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – ლანდშაფტის შეუქცევად დეგრადაცია – განადგურებას გამოიწვევს.

– ჰესის აშენების შემთხვევაში, წყლის გარეშე დარჩება მიმზიდველი ჩანჩქერები ხდის ხეობის დასაწყისში. ეს გამოიწვევს ლანდშაფტის შეუქცევად დეგრადაცია-განადგურებას,“ – ნათქვამია დოკუმენტში და იქვე აღნიშნულია, რომ პროექტი უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზეც: „ხდის ხეობას უნიკალური სილამაზის გამო ბევრი ტურისტი სტუმრობს. ჰესის აშენების შემთხვევაში, ხეობა დაკარგავს მიმზიდველობას, რაც ცუდად აისახება ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე, დაცული ტერიტორიებისა და ტურისტული კომპანიების შემოსავლებზე. ხდის ხეობა წარმოადგენს ალპინიზმისთვის ძალზე პოპულარულ და მნიშვნელოვან ადგილს, – აცხადებენ „მწვანე ალტერნატივაში“.

გარემოსდაცვით ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ ჰესის მშენებლობამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებაზეც.

– მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელი წინაპირობა უნდა იყოს პროექტის აზომვითი ნახაზის გაკეთება და შედარება დაცული ტერიტორიის საზღვრებთან. 2010 წელს, „ხდისწყალი ჰესი“ ამოღებულ იქნა მინისტრის მიერ დამტკიცებული „საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხიდან“ იმის გამო, რომ ჰესი მთლიანად ხვდებოდა ყაზბეგის ეროვნული პარკისა და გეგმარებით დაცულ ტერიტორიებზე. პროექტი იქონიებს ზეგავლენას ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებაზე. საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის არსებობს სპეციალური შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებას და ამის შესახებ ხელმოწერილია კიდეც შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება შეფერხებულია სწორედ ყაზბეგის რაიონში „დარიალის ჰესის“ და სხვა ჰესების მშენებლობის გამო, – აღნიშნულია დოკუმენტში.

არასამთავრობო ორგანიზაციები „მწვანე ალტერნატივა“ და „სტეფანწმინდა“ ჰესის მშენებელ კომპანიას ახალი ჰესის აშენების ნაცვლად, მის საკუთრებაში მყოფი „ყაზბეგი ჰესის“ რეაბილიტაციას და თანამედროვე დანადგარებით აღჭურვას ურჩევენ. როგორც ცნობილია, მდინარე ბროლისწყალზე უკვე არსებობს 1,5 მგვტ სიმძლავრის „ყაზბეგი ჰესი“, რომელიც ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიუყენებლად ფუნქციონირებს. ამორტიზებულობის გამო, ჰესი 300-400 კილოვატზე მეტ ენერგიას ვერ გამოიმუშავებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 3 მშენებარე ჰესის გარდა, კიდევ 7 ახალი ჰესის აშენება იგეგმება. საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ღ-ენერგყ ლიმიტედ“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია საქართველოში 32 ჰესის მშენებლობას გეგმავს, აქედან 7 ყაზბეგში მდებარეობს: „თრუსო ჰესი“ (მდ. თერგი), „კობი ჰესი“ (მდ. თერგი), „თერგი ჰესი“ (მდ. თერგი), „სნოსწყალი ჰესი“ (მდ. ართხმოსწყალი), „ჯუთა ჰესი“ (მდ. ჯუთა), „ჩხერი ჰესი“ (მდ. ჩხერი) და „ამალი ჰესი“ (მდ. ამალი).

ჰესების ჩამონათვალი მემორანდუმში ორ დანართშია განაწილებული. პირველი დანართის მიხედვით, ჰესების მშენებლობა ყაზბეგის გარდა დაგეგმილია მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და სამეგრელოში. მეორე დანართი კი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ითვალისწინებს კახეთში, გურიაში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში.

ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, „თრუსო ჰესის“ სიმძლავრე 8.70 მეგავატი იქნება, „კობი ჰესის“ – 3.80, „თერგი ჰესის“ 26.30, „სნოსწყალი ჰესის“ – 22.20, „ჯუთა ჰესის“ – 8.90, „ჩხერი ჰესის“ – 14.80, „ამალი ჰესის“ – 8.30. 10 მეგავატიანი იქნება „ძეგვი ჰესის“ სიმძლავრე, რომლის აშენებაც მდინარე მტკვარზე იგეგმება.

ამ მემორანდუმზე ხელი ძველი მთავრობის მეთაურმა ნიკა გილაურმა მოაწერა. მაშინ დღევანდელი მეოცნებეები ამის გამო ნაციონალებს გმობდნენ. ახლა კი უკვე თავად ლობირებენ ნაციონალების ნაფერებ ჰესებს. განსაკუთრებით ენერგეტიკის მინისტრი და მისი მოადგილე აქტიურობენ. ბუნების დასაცავად ხმას არც პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი იღებს და არც მწვანეთა პარტია.

სამაგიეროდ აქტიურია არასამთავრობო სექტორი და საზოგადოება. იმედია, დღეს ყაზბეგში სერიოზული განხილვა გაიმართება და მოხერხდება უნიკალური ხდის ხეობის გადარჩენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ლამაზი ხეობა განადგურდება. იქ არსებული ჩანჩქერის ადგილას კი მილს მივიღებთ.

დარიალის ხეობას კი უკვე აღარაფერი ეშველება. იქაურობა გადათხრილია და თერგის მილებში მოსათავსებლად ყველაფერი მზად არის. ბუნებას ასეთი რამეები არ უყვარს.

ვნახოთ, რა არგუმენტებს წარმოადგენენ დღეს მეჰესეები და ენერგეტიკის სამინისტრო. და თუ მათ დროზე არ შეაჩერებენ, ძალიან მალე ტურისტებს ყაზბეგში ბუნების ძეგლების ნაცვლად, ჰესების დათვალიერება მოუწევთ.

თბილისის საკრებულომ მულღაზანზარისა და დავარის ქუჩები გვაჩუქა

შორენა მარსაგიშვილი

რა დააშავეს ქაჯებმა?!

თბილისის საკრებულოში აშკარად იუმორის შემოტევა აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეოცნებეებად ქცეული ნაციონალი დეპუტატები ასეთ უცნაურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. მათმა გადაწყვეტილებამ ერი გაამხიარუულა, მაგრამ შესაძლოა ქაჯები შემოგვწყრნენ. სამაგიეროდ მამიდა დავარი და მულღანზანზარი დარჩებოდნენ კმაყოფილები.

საქმე-გაწყვეტილენა საკრებულოს დეპუტატებმა გუშინ რამდენიმე საკითხი განიხილეს. მერე გადაწყვიტეს უსახელო ქუჩებისთვისაც მიეხედათ და ამ ქუჩებს ვეფხისტყაპსნის პერსონაჟების სახელები დაარქვეს.

საკრებულოს წევრების თანხმობის შედეგად, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომის უსახელო ქუჩებს, მასთან არსებულ ჩიხებს და შესახვევებს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების შემდეგი სახელები მიენიჭათ.პირობითად 48-ე ქუჩას - მურადინ - ფრიდონის ქუჩა, 52-ე ქუჩას – მელიქ-სურხავის ქუჩა, 53-ე ქუჩას – მულღაზანზარის ქუჩა, 54-ე ქუჩას – გულანშაროს ქუჩა, 55-ე ქუჩას – ფატმანის ქუჩა, 56-ე ქუჩას – როსტევანის ქუჩა, 58-ე ქუჩას – უსენის ქუჩა, 59-ე ქუჩას – ასმათის ქუჩა, 60-ე ქუჩას - თინათინის ქუჩა, 68-ე ქუჩას – დავარის ქუჩა, 73-ე ქუჩას – შერმადინის ქუჩა, 74-ე ქუჩას – ნესტან დარეჯანის ქუჩა, 78-ე ქუჩას – ავთანდილის ქუჩა, 79-ე ქუჩას – ტარიელის ქუჩა, 87-ე ქუჩას – ხატაეთის ქუჩა, 94-ე ქუჩა – ვეფხისტყაოსნის ქუჩა, 95-ე ქუჩას – ჭაშნაგირის ქუჩა, 98-ე ქუჩას – ფარსადანის ქუჩა, ხოლო 106-ე ქუჩას – რამაზის ქუჩა ეწოდათ.

გუშინვე საკრებულოს დეპუტატებმა ვაკე-საბურთალოს რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის გაგრძელებაზე არსებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელეს. შეგახსენებთ, რომ დედაქალაქში უკვე არსებობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, რომლიც ყოფილი 5 დეკემბრის ქუჩას 1991 წელს ეწოდა.

ასევე სახელები მიენიჭათ სხვადასხვა რაიონებში არსებულ უსახელო ქუჩებსა და ჩიხებს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სახალხო გმირის ნადირა ხოშარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს და ჩიხს ნადირა ხოშარაულის სახელი ეწოდა. ისანი-სამგორის რაიონში, ქართველი ფერმწერის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს კი დავით კაკაბაძის სახელი მიენიჭა. ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, ე.წ. “ტოიოტა ცენტრი”-ს მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას დღეიდან 2008 წლის რუსეთ–საქარტველოს ომსი გმირულად დაღუპული ილია შეყლაშვილის სახელი დაერქვა. რაც შეეხება ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე აკურის ქუჩას, დღევანდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მას ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის ბიძინა კვერნაძის სახელი მიენიჭა.

ვერაფერს იტყვი, საკრებულომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ერს ახალი გასართობი მისცა. თუმცა როგორც თავში ავღნიშნეთ, ამ გადაწყვეტილების გამო შესაძლოა ქაჯები გაგვიწყრნენ. ვეფხისტყაოსანში ისინიც საფუძვლიანად ფიგურირებენ. და სამართლიანად ეკუთვნოდათ ერთ ქუჩას მაინც რქმეოდა მათი სახელი. თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანა ქაჯებით არის სავსე და მათთვის მაინც უნდა გაეწია ანგარიში საკრებულოს.

თბილისი ისედაც საინტერესო ქალაქი იყო. აწი უფრო საინტერესო გახდება. სხვაგან სად ნახავთ ერთ ქალაქში იყოს თავმოყრილი ჯორჯ ბუშისა და მულღაზანზარის ქუჩები.

გიორგი კობახიძე: „ივანიშვილი ნუ გვებუჭება!“

შორენა კოწოწაშვილი

ხა დაპირება ახ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ" და ხამდენად მაღალპროფესიულად მიმდინარეობდა განათლების სამინისტროს მუშაობა მარგველაშვილის მინისტრობის დროს? – ამ საკითხების იმგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ერთ-ერთ ლიდერ გიორგი კობახიძესთან.

– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს მისი ხელისუფლების მუშაობისა და ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით? ობიექტური შეფასებები გაკეთდა?

– ვფიქრობ, პრემიერის შეფასებები ცოტა გადაჭარბებული იყო. პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის აშკარად დღევანდელ სახელისუფლებო გუნდს. მე ამაში თვითონ სახელისუფლებო გუნდსაც ვგულისხმობ და ცალკეულ მინისტრებსაც. პირველ რიგში, ვგულისხმობ პარლამენტს, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს თავისი საკანონმდებლო საქმიანობით. ყველა მიმართულებით არის შიში და დაძაბულობა. ამის საფუძველი თვითონ „ქართული ოცნების“ შინაარსში დევს, ოცნების შემადგენლობაში. ეს არ არის საქართველოს ნაკრები, საუკეთესო შემადგენლობა აშკარად არ არის მმართველ კოალიციაში თავმოყრილი. ეს არის ის შემადგენლობა, რომელიც ივანიშვილს სჭირდებოდა პირველი ოქტომბრის შედეგის მიღწევისთვის, მაგრამ არანაირად არ არის ის შემადგენლობა, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში აღმშენებლობის პროცესების საწარმოებლად.

– ანუ ზედმეტად ოპტიმისტურად არის პრემიერი განწყობილი?

– არა მხოლოდ ზედმეტად ოპტიმისტურად. მე ამ განცხადებების ერთადერთ მიზეზს ვხედავ: პრემიერს არჩევნების წინ არ უნდა კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატს ცუდი სამსახური გაუწიოს და ცდილობს, ვარდისფერ და ცისფერ ფერებში დახატოს დღევანდელობა და მარგველაშვილს ფონი ამით შეუქმნას. ვფიქრობ, ამით ივანიშვილი, პირიქით, საზოგადოებას აღიზიანებს, უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. ეს ჩემი აზრია და არა მხოლოდ ჩემი. ჩვენ საზოგადოების პულსზე გვიჭირავს ხელი. მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანიას ვაწარმოებთ და კარგად ვიცით, საზოგადოების განწყობა, ხალხის პოზიცია და, შეიძლება ითქვას, ქვეყნის თითოეულ მოქალაქესთან გვაქვს ურთიერთობა. ეს ყველაფერი, ვიმეორებ, აორმაგებს იმ უკმაყოფილებას, რომელიც საზოგადოებაში უკვე გაჩენილია შეუსრულებელი დაპირებების საფუძველზე. ახლა ცეცხლზე ნავთის დასხმა, ბუნებრივია, კარგ შედეგს არ იწვევს.

– ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ გიორგი მარგველაშვილი უალტერნატივო კანდიდატია საპრეზიდენტო არჩევნებში...

– ვფიქრობ, ეს გამონათქვამი თავისთავად არის შეურაცხმყოფელი ყველა დანარჩენი კანდიდატისთვის. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმას ვგულისხმობ, რომ ბურჯანაძესთან მარგველაშვილი უშანსოა და პოზიციას მხოლოდ და მხოლოდ ის უმაგრებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად ივანიშვილის მიერ არის დასახელებული. თავისთავად, ეს დამოკიდებულება უკვე არის საზოგადოების შეურაცხყოფა. თქვენი მკითხველი კარგად გაიგებს, რასაც აქ ვგულისხმობ. მეტსაც გეტყვით, გიორგი მარგველაშვილი ყველა რეალურ კანდიდატთან წააგებდა ამ ბრძოლას, რომ არა ბიძინა ივანიშვილის „კაცის კაცობა“, ეს ხომ რეალობაა. როდესაც დამოუკიდებლად კანდიდატი ხუთეულში ვერ ხვდება და იმაზე ამბობ, რადგან მე ვასახელებ, ამიტომ უალტერნატივოაო, ეს ცოტა შორსაა, თუნდაც დემოკრატიის მოთხოვნებთან, აღარაფერს ვამბობ სახელმწიფო ინტერესებთან.

– მოდით, წინასაარჩევნო გარემოზე ვისაუბროთ. ამ კუთხით პრეტენზიები საკმაოდ დიდი ხნის წინ გაისმა, დღეისათვის ვითარება შეცვლილია? სახელისუფლებო რესურსის მარგველაშვილის სასარგებლოდ გამოყენება სახეზეა?

– მთავარს ვიტყვი: ხელისუფლებამ დანაპირების საწინააღმდეგოდ არ შექმნა ინტერპარტიული ჯგუფი, რომელსაც უნდა ემუშავა საარჩევნო კოდექსის ძირეულ გადასინჯვაზე. ეს უკვე თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ყველა ის უარყოფითი მხარე, რომელიც ნაციონალებმა ჩადეს კანონში იმისათვის, რომ მანიპულირების საშუალება ჰქონოდათ. მანიპულირებაში მარტო ხმის დათვლის დროს და ყუთში ჩაყრის დროს მანიპულირებას არ ვგულისხმობ. ლაპარაკია, მთლიანად საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს უკვე მრავლისმეტყველია, დამეთანხმებით. მეორეც, ერთი რამ მინდა ყველას შევახსენო: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ცვლილებებს ითხოვდნენ და, შეიძლება ითქვას, ყველაზე აქტიურადაც, კოალიციის შემადგენლობაში შემავალი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავის დროზე „რვიანში“ იყვნენ გაერთიანებული ანუ ის მოთხოვნები, რომელიც მათ ჰქონდათ დასმული და რომელიც არ იყო სრულყოფილი, იმიტომ რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არაფერი არ გაუვიდოდათ და კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდნენ ხოლმე. აი, ის კომპრომისული ვარიანტიც კი არ დადგა დღის წესრიგში, არ გახდა მსჯელობის საგანი. ამათ გადაწყვეტილების მიღებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. „ქართულ ოცნებას“ თავისთვის ხმები ყოფნის. ეს ყველაფერი თავისთავად არის პასუხი თქვენ კითხვაზე, მაგრამ, რაც შეეხება თვითონ წინასაარჩევნო პროცესის დროს სახელისუფლებო რესურსის გამოყენებას, ამის კარგი მაგალითია, თუნდაც რაჭაში გამართული შეხვედრები. ისევ და ისევ გამგეობები რეკავენ სახელმწიფო დაწესებულებებში, მოითხოვენ მობილიზაციას დახვედრების სახით. რაღაც უცნაური სცენარები დგება. ასეთი სცენარები სააკაშვილის პერიოდშიც არ მახსოვს. ძველი წარსულიდან შეიძლება ამოვქექოთ მსგავსი, ანდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, დავუშვათ, თურქმენ ბაშთან დაკავშირებულ კამპანიაში შეიძლება ვნახოთ მსგავსი. ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდების დახვედრა და ბავშვების ბუშტებითა და დროშებით გამოსვლა რას ნიშნავს? რომელი დავით აღმაშენებელი ან გიორგი ბრწყინვალეა მარგველაშვილი, რომ მას ცხენზე ამხედრებულები ხვდებიან ახალგაზრდები?! რისთვის, რა დამსახურებისთვის, რის გამო გამოხატავენ ამ პატივისცემას?! მხარდაჭერის გამოსახატავად ეს წინასაარჩევნო კამპანიის ძალიან გადამლაშებული ფორმაა. ამ ყველაფერში კარგად ჩანს, რომ ჩვენ ისევ ძველ დროში ვართ ჩარჩენილი.

– პრემიერი ბოლო პრესკონფერენციაზე ბევრჯერ მიუბრუნდა თანამდებობიდან წასვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და შემდგომ გეგმებზე ისაუბრა. ივანიშვილმა ისიც თქვა, თუ არასახელისუფლებო კანდიდატი გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში, ის უფრო სწრაფად წავა პრემიერის პოსტიდან სამოქალაქო სექტორში. ამ ყველაფერს რითი ახსნიდით?

– მკითხველმა ჩემი შეფასება კონკურენტის შეფასებად რომ არ აღიქვას, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, დიდი მადლობა ბიძინა ივანიშვილს იმისათვის, რაც გააკეთა ნაციონალური მოძრაობის, ამ კაციჭამიების რეჟიმის დამარცხებით, მაგრამ იმავე სისტემაში დარჩენის სურვილი, რომელიც ნაცმოძრაობამ შექმნა და მანამდე კიდევ მისმა წინამორბედებმა, ეს, თავისთავად, კარგად არ ახასიათებს იმ სურვილებს, რომლებიც ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ გააჩნიათ. მე ვიტყვი საზოგადოების სურვილებს და დამოკიდებულებას: ყველამ ეს აღიქვა, როგორც ერთგვარი შანტაჟი. რას ნიშნავს გაბუტვა ხალხთან?! კილოში ასეთი ინტონაცია გამოსჭვივის. მე როგორც მინდა, ისე თუ არ იქნება და ა.შ. ასეთი რაღაცები, მაგალითად, ჩემს შვილიშვილს არ გასდის ხოლმე ჩემთან.

– ეს გაბუტვაა პრემიერის მხრიდან თუ მართლაც პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, რაზეც არასაპარლამენტო ოპოზიცია მიანიშნებს?

– ეს, ელემენტარულად, დაშანტაჟების მცდელობაა. თუ ისე არ იქნება, როგორც მე მინდა თამაში, ელემენტარულად, ეს არის დაშანტაჟების მცდელობა. მოდით, პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვთქვათ, ეს არის პრემიერის ძალიან უხერხული პოზიცია.

– იზიარებთ პრემიერის პოზიციას, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს დღეს კარგი მთავრობა ჰყავს და არც ერთი მინისტრის შეცვლის აუცილებლობა არ დგას? ეს კაბინეტი პრემიერის დაპირებების შესრულების გარანტია თუნდაც ოთხი წლის თავზე?

– ერთი მაგალითით ვიტყვი, რომელიც განვრცობადია. კერძოდ, გიორგი მარგველაშვილი, როგორც განათლების მინისტრი, ძალიან სუსტი იყო. ის ინიციატივები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა მიაწოდა, როგორც ქართველები ვიტყვით ხოლმე, „სატოპკე პასები“, ყველა იყო კონტექსტიდან ამოგლეჯილი. ეს არ იყო ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში გათვლილი გადაწყვეტილებები და იმასაც ვერ ახერხებდა, რომ საზოგადოებისთვის დაუმახინჯებლად მიეწოდებინა ესა თუ ის გადაწყვეტილება. გახსოვთ, პირველი გადაწყვეტილება იყო, როდესაც გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება. ორი კვირის განმავლობაში მინისტრმა მარგველაშვილმა ვერ აგვიხსნა, როგორ უნდა დახარჯულიყო ეს თანხა. რა დონის მინისტრი იყო მარგველაშვილი, იცით? – გააკეთა განცხადება, უფასოდ დაგირიგდებათ სახელმძღვანელოებიო. ეგონა, ყველა ამით გახარებული იქნებოდა, ამით ყველაფერი დამთავრდებოდა და კითხვებზე პასუხი აღარ მოუწევდა. ამას რომ თან უამრავი კითხვა მოჰყვებოდა, მას ესეც კი არ ჰქონდა წარმოდგენილი. მერე ამ კითხვებზე პასუხები რომ არ გააჩნდა, ტელევიზიებში თავის წარმომადგენლებს უშვებდა, მათ კი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ყველა დაინტერესებული მხარე – ცალკე გამომცემლობები, ცალკე საავტორო უფლების დარღვევით დაზარალებულები. კიდევ იყო უამრავი კითხვა მშობლებისგან და პედაგოგებისგან, რომელზეც პასუხისთვისაც თვითონ მაშინდელი განათლების მინისტრი მზად არ იყო. ვიმეორებ, ვერც მის მიერ წარგზავნილი ხალხი პასუხობდა ამ კითხვებს, რაც გუნდის პრობლემაც არის, თან ცოტა თავხედური და ცინიკური რეპლიკები ჰქონდათ ხოლმე იმისათვის, რომ თემებისგან თავი აერიდებინათ. შუაშიც იყო ბევრი ლაფსუსი მისი მხრიდან. შემდეგ მარგველაშვილმა განათლების მინისტრად მისი ნდობით აღჭურვილი პირი დატოვა. მართლა ნინიას ბაღია?! ის ადამიანია განათლების მინისტრი, რომელიც, წინასწარ ვიცით, რომ რეფორმებს ვერ გაატარებს, რადგან მან არ შეიძლება, ეს საქმე იცოდეს. განათლების მინისტრი შეიძლება კარგი ფინანსისტია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განათლების სფეროში ფართო რეფორმა გაატარო. იცით, რომ ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში სწორედ განათლების სფერო იყო ჩავარდნილი, თანაც ეს ხდება მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ სამი პრიორიტეტიდან ერთ-ერთი განათლებაა. როცა ამის დანახვა არ უნდა ადამიანს, ის ობიექტური ვერ იქნება ვერც მთლიანად მთავრობის და ვერც ცალკეული მინისტრების შეფასებისას. ერთადერთი, ჩემი დადებითი დამოკიდებულება შემიძლია შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ გამოვხატო. ის მარტივი სტატისტიკა, რომ ამდენი ადამიანი ციხიდან გამოვიდა და დანაშაულის დონე არათუ მაღლა არ იწევს, არამედ დაბლა მიდის, ეს კარგის თქმის საფუძველს გვაძლევს ერთი მინისტრის მისამართით. ჩვენ კარგსაც ვხედავთ და ცუდსაც. ყველა დანარჩენ მინისტრთან დაკავშირებით, კითხვებით დაწყებული, მხრების აჩეჩით დამთავრებული, ძალიან სერიოზული დამოკიდებულებაა საზოგადოებაში.

– პრემიერმა ორიოდე დღის წინ აღიარა, რომ ეკონომიკური კუთხით ვარდნაა. ველარ დამალა პრემიერმა მძიმე მდგომარეობა ეკონომიკური კუთხით თუ რატომ არ გაიზიარა თანაგუნდელთა პოზიცია, რომლებიც ამბობენ, რომ საშიში არაფერია.

– ეტყობა, აქამდე ამის აღიარება არ უნდოდათ. ივანიშვილი ამბობს, ეს ჩვენი ბრალი კი არა, ძველი ხელისუფლების ბრალიაო. იმედისმმცემი ტენდენციაც არ არის, არც პოლიტიკური სისტემის შეცვლის, არც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და არც სამართლიანობის აღდგენის კუთხით. ვერც სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარების კუთხით ვერ დავინახეთ ქმედითი ნაბიჯები. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ხალხს არ გვაკმაყოფილებს.

– დაბოლოს, „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერები ფიქრობენ, რომ გაზაფხულზე ქაოსი იქნება, თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი გახდება. ეთანხმებით მათ პოზიციას?

– სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, რომ პოლიტიკური სისტემის შეცვლა არ ხდება. ერთმმართველობა არის ერთმმართველობა. შეიძლება, ერთი ერთმმართველობა უფრო ბოროტი იყოს, ვიდრე მეორე. საბოლოო ჯამში, ეს მაინც შიშისკენ მიმავალი გზაა. ბუნებრივია, თუკი ეს არ გესმის, ისევე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ქვეყანა, როგორც ნაციონალური მოძრაობის გამო აღმოჩნდა და ა.შ. ჩვენთან კომუნისტური ხელისუფლების შემდეგ პოლიტიკური სისტემა ისევ ის დარჩა, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროს იყო.

ვაზელინმბადი პოლიტიკოსების პრობლემა ქართულ რეალობაში

მედიცინა და ბიოლოგია იცნობს ორგანოებს, რომელიც სხვადასხვა ნივთიერებებს გამოიმუშავებენ და გამოყოფენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ელენთა სისხლს გამოყოფს და მას სისხლმბადი ორგანო ეწოდება, ხოლო ვაზელინმბადი ორგანოს არსებობა, ჯერჯერობით არცერთ მედიკოსსა და ბიოლოგს არ აღუწერია, რისი მიზეზიც სავარაუდოდ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ აღნიშნული ნივთიერების ბუნებრივად გამომყოფი მოინდივიდო ელემენტები, მხოლოდ ქართულ პოლიტიკაში შეიძლება აღმოაჩინოთ, თან სამწუხაროდ, არცთუ მცირე რაოდენობით.

გარკვეულ პირებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების აზრს, მხოლოდ დროით და შექმნილი ვითარებით სარგებლობაში ხედავენ და რომლებისთვისაც არ არსებობს ბოთლი, რომელსაც ვერ მოერგებიან მისი ყელის სიფართოვის მიუხედავად, სამწუხაროდ გასაქანი დღევანდელ რეალობაშიც აქვთ და მათ თვალწინ არცთუ ისე ვიწრო პერსპექტივებია გადაშლილი.

უფრო მეტიც, თუ თქვენ ვინმეს მოქმედება არ მოგწონთ, თუ თქვენ ვინმეს პირფერობაში, ფარისევლობაში და ჯოკიაობაში (კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“) ხართ დარწმუნებული, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ქართულ სინამდვილეში თქვენი ანტიპათიის ობიექტს, ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე უმაღლეს სახელისუფლებო თანამდებობაზე, მაგალითად დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარედ იხილავთ.

ზოგადად კი, როდესაც დედაქალაქის საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარის ბოლო პერიოდის უეცარ მეტამორფოზას გადაავლებ თვალს, შეიძლება კიდევ ერთხელ დარწმუნდე, რომ ადამიანთა გარკვეული კატეგორია, იმ შინაგან ხმას, რასაც ზოგიერთი სხვანაირად სინდისის ხმას ეძახის, აბსოლუტურად უგულვებელჰყოფს.

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ამა თუ იმ მოინდივიდო ელემენტის შეფასებისას, „ნაციონალურ მოძრაობას“ აბსოლუტურად უნდა დაეთანხმო და მისი პათოსი გაიზიარო.

ხოლო ის, რომ ბატონი ირაკლი შიხიაშვილის შეფასებისას „ნაციონალურ მოძრაობას“ ნამდვილად უნდა დაეთანხმო, თავისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუს დროს, თავად ამ შეფასების ობიექტმაც დაადასტურა.

თუ ოდესმე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პოლიტოლოგიის მიმართულების ფაკულტეტებზე ფარისევლობისა და მლიქვნელობის დისციპლინა დაემატება, მაშინ მის სახელმძღვანელოში აუცილებლად უნდა შევიტანოთ ბატონი შიხიაშვილის ის ინტერვიუ, სადაც აცხადებს, რომ თურმე მან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუერთდა ერის მხსნელ „ქართულ ოცნებას,“ როდესაც მისი ავანსცენაზე გამოსვლის დრო დადგა და აჰა, მან ეს ნაბიჯიც გადადგა.

დავიწყოთ იქედან, რომ ირაკლი შიხიაშვილის „ავანსცენაზე გამოსვლის“ დროის დადგომა არათუ ქართველ საზოგადოებას, არამედ მგონი თავად შიხიაშვილის გარდა არავის უგრძვნია და თავის „გაბედულ ნაბიჯს“ ნურავის ნუ აყვედრის. მას განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენია, დამარცხებული პოლიტიკური ძალა დატოვა და გამარჯვებული ძალის ნავში გადასკუპდა.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე შიხიაშვილის ავანსცენაზე გამოჩენის აუცილებლობაში, მის მიერ თავის გადასარჩენად და პოლიტიკური კარიერის გასაგრძელებლად გადადგმული ნაბიჯი უფრო დავინახე, რაც როგორც აღვნიშნეთ, დაუფასდა კიდეც და დღეს ბატონი შიხიაშვილი დედაქალაქის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს. ერთი პოლიტიკური გუნდიდან მეორეში უცერემონიოდ გადახტომა, საკრებულოს დღევანდელმა თავმჯდომარემ „ბევრი რამის გადაფასებით“ ახსნა, ანუ მას გადაფასების მუზა სწორედ მას შემდეგ ეწვია, რაც ხელისუფლებაში კოალიცია მოვიდა, მანამ კი, „ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასულ და აღზევებულ შიხიაშვილს, მიხეილ სააკაშვილის ქმედებების გადასაფასებლად 9 წელი არ ეყო და სხვა მრავალთან ერთად, ერთგულად ასრულებდა იმ როლს, რომელიც მას დიადმა პარტიამ დააკისრა.

როგორც საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარე აცხადებს, მას თურმე ყველაფერი გაუკეთებია, რომ ოპოზიციას გაემარჯვა და მიიჩნევს, რომ ეს დაუფასდა.

მაშინ როცა ხელისუფლებაში ხარ, გიჭირავს ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა და ამავდროულად „ჩალიჩობ“ რომ შენმა მოწინააღმდეგეებმა და ოპონენტებმა გაიმარჯვონ, ამ საქციელს რაც ჰქვია, მკითხველის პატივისცემის გამო, ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუმცა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ, არა ფარულ, არამედ ღია მოქმედებებს და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ იცი გამარჯვება რომელ მხარეს დარჩება, – ვაუკაცობა სჭირდება, რისი უდავოდ დიდი დეფიციტიც გააჩნიათ ზოგიერთებს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბს ალექსანდრე კვიტაშვილი უხელმძღვანელებს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ, გუშინ, თავისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ალექსანდრე კვიტაშვილი წარადგინა. დავით ბაქრაძემ კვიტაშვილი ჟურნალისტებს პარტიის ცენტრალურ ოფისში წარუდგინა.

ალექსანდრე კვიტაშვილი 2008 წლის 31 იანვარს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად დაინიშნა. 2010 წლის 31 აგვისტოს კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად იქნა არჩეული. ის ამ თანამდებობაზე 2013 წლის აგვისტოსმდე მუშაობდა.

ნიუსპრესი

ვანო მერაბიშვილი ხელისუფლებას თავისი ოჯახის წევრების მიმართ ზეწოლაში ადანაშაულებს

პატიმრობაში მყოფი, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საკუთარი სოციალური ქსელის მეშვეობით ხელისუფლების მისამართით მორიგ წერილს აქვეყნებს.

ყოფილი შს მინიტრი ბიძინა ივანიშვილსა და ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ პოლიტიკური მოტივებით განხორციელებული დევნა შეწყვიტონ.

„გუშინ ჩემს მიერ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ, რომელშიც მე, ჩემს მიმართ პოლიტიკურ დევნაში პირადად ბიძინა ივანიშვილი დავადანაშაულე, დღეს სამცხე-ჯავახეთის პროკურატურამ და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ბიძაჩემს, ლევან თუმანიშვილს, კიდევ ერთი ბრალდება წარუდგინა. ხვალ კი, სასამართლო გაიმართება, რომელიც მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელებს.

ეს არის კიდევ ერთი მცდელობა ხელისუფლებისა, ზეწოლა მოახდინონ პირადად ჩემზე, ჩემი ოჯახის წევრებისა და ნათესავების დევნის გზით. ლევან თუმანიშვილი, რომელიც 68 წლისაა და ასაკის გამო ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს, ერთხელ უკვე იყო ამავე აბსურდულ საქმეზე ბრალდებული და დღეს გირაოთია გათავისუფლებული. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს, შეწყვიტოს პოლიტიკური მოტივებით ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების დევნა, ვინაიდან ეს ბრძოლა მათთვის უშედეგოდ დასრულდება. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, საბოლოოდ სამართალი მაინც იზეიმებს“ – ნათქვამია მერაბიშვილის წერილში.

მედიანიუსი

მაია ფანჯიკიძე ჟენევას ეწვევა

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიიძე, 11 სექტემბერს ჟენევას ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში, მაია ფანჯიკიძე შეხვედრებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან, ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისართან, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდენტთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან გამართავს.

მაია ფანჯიკიძე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 24-ე სესიაზე სიტყვითაც გამოვა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანის განცხადებით, მაია ფანჯიკიძე 12-14 სექტემბერს, ქალაქ ბერნსაც ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრი შვეიცარელ კოლეგასა და პარლამენტის ზედა პალატის - კანტონთა საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდება.

13 სექტემბერს კი, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით შეთანხმებას – „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ,“ მოეწერება ხელი.

მედიანიუსი

ონიშჩენკო აშშ-ის ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს



როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელის, რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთმა აშშ-ს, საქართველოში ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის საკითხის განხილვისკენ მოუწოდა.

მისივე თქმით, რუსეთი ამ საკითხთან დაკავშირებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან და თავდაცვის სამინისტროსთან საუბრისთვის მზად არის.

რუსეთის მთავარი სანიტრის პოზიციით, აუცილებელია, რომ ამ მოლაპარაკებებში ქართული მხარეც მონაწილეობდეს.

ონიშენკოს თქმით, რუსეთს სახელმწიფო საზღვრის გვერდით არსებული ამ ლაბორატორიის ჭეშმარიტ დანიშნულებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი და ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება აქვს.

„ისინი მთავარ კითხვას არიდებენ თავს: რას აკეთებს ამერიკული სამხედრო მიკროლაბორატორია საქართველოს ტერიტორიაზე? ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ რით არიან ისინი დაკავებულები“ – აღნიშნა ონიშენკომ და დაამატა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ს ლაბორატორიის არსებობა რუსეთს და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისთვის შესაძლოა სერიოზულ წინაღობად იქცეს.

ნიუსპრესი

რა ხდება ბაგა-ბაღებში?!

16 სექტემბერს ბაგა-ბაღები ახალ სასწავლო წელს ჯგუფში ორმოც-ორმოცი ბავშვით შეხვდებიან. მას შემდეგ, რაც სკოლამდელი აღზრდა უფასოდ შესთავაზეს მშობლებს, სერვისის მიღების მსურველთა რიცხვი გაათმაგდა. რა თქმა უნდა, არსებული შენობები არასაკმარისი აღმოჩნდა დედაქალაქის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ეს თემა საკრებულოსა და მერიას შორის საყვედურებისა და ბრალდებების საგანიც გახდა. ექვსიოდე წლის წინ, ბაგა-ბაღის შენობები რომ არ დახურულიყო, დღეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა. ქალაქის მთავრობის ვარაუდით, პრობლემის გადაჭრას 2-3 წელი მაინც დასჭირდება. ეს, ალბათ, იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ამინდი ქვეყანაში უცვლელი დარჩება და მავანს ისევ არ მოესურვება, სკოლამდელი აღზრდა მშობელს სოლიდური თანხა დაუსვას.

მერიისა და საკრებულოს დანაპირები ბაგა-ბაღებში დამატებითი ჯგუფების გახსნის შესახებ მცირეფართიან ბაგა-ბაღებში ვერ შესრულდა და მხოლოდ ჯგუფებს დაემატა რამდენიმე ბავშვი. წელს რეალობა ასეთია — აღსაზრდელებით გადაძეძგილი ბავშვები და საიტს ჩასაფრებული მშობლები, რომლებიც სასოებით ელოდებიან ბაღებში ვაკანსიის გაჩენას. მაინც როგორ ხვდებიან საბავშვო ბაღები ახალ სასწავლო წელს? „ახალი თაობა“ რამდენიმე ბაგა-ბაღის გამგეს ესაუბრა:

მერი ნამორაძე

ოქსანა ჯვარშეიშვილი, 131-ე ბაგა-ბაღის გამგე:

– რამდენი ბავშვი ირიცხება ჯგუფში, ქალბატონო აქსანა?

– ყველა ჯგუფში ირიცხება 40 ბავშვი და 30 – ბაგაში.

– რამდენი ბავშვის დამატება მოხერხდა დამატებითი სიით?

– ძალიან მცირე რაოდენობით მოხერხდა, რადგან ბაგა ისედაც გადატვირთული იყო, 3-4 წლიანი ჯგუფი უკვე შევსებული იყო. ამიტომ თითო ჯგუფში თითო ბავშვი დავამატეთ. სულ დავამატეთ 8 ბავშვი, რომელთაგან 4 დედმამიშვილი იყო და ტყუპისცალი. ბაგაში ტყუპისცალის დამატება მოხდა იმიტომ, რომ დედამ ერთი დაარეგისტრირა, მეორეს დარეგისტრირება ვეღარ მოასწრო, ფიზიკურად იმდენად მალე გაქრა ვაკანსიები. ეს ბაღი ყოველთვის გადატვირთული იყო, ყოველთვის დიდი ნაკადი გვქონდა. ჯგუფების დამატება გვინდა, მაგრამ ფართი არ გვაქვს. მეცოდება მშობელიც და ბავშვიც – ის, ვინც გარეთ დარჩა და ის, ვინც ასეთ პატარა ფართში ივლის. ეს არატიპიური შენობაა და ფართი პატარაა. სადაც ბაღის შენობა ტიპიურია – ცალკე სასადილოა, ცალკე საძინებელი, კიდევ შეიძლება ჯგუფის დამატება. ეს პატარა ბავშვები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან, ისინიც მეცოდებიან, რადგან პატარა ფართში ბევრნი არიან. დაგვჭირდა ინვენტარის დამატება. მშობელს არაფრის მოტანა და დამატება არ სჭირდება, მხოლოდ ფაჩუჩები.

– მაინც რამდენი მშობლის განცხადება გქონდათ დამატებით სიებში ჩასარიცხად?

– დაახლოებით 150 მაინც.

– საზეიმო გარემოს შექმნას თუ აპირებთ 16 სექტემბერს? რამდენად მოხერხდება ახალ შემოსული ბავშვების ტირილთან გამკლავება?

– შარშან გვქონდა სპეციალური პროგრამა და ზეიმისთვის მზადაც ვიყავით, მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რომ ბავშვები არ გაჩერდნენ და ეს ყველაფერი ჩაგვეშალა. წელს მინდა მოვიწვიო გასართობი ცენტრი და გავართოთ ბავშვები, რამდენადაც მოხერხდება. პირველ დღეს 220 ბავშვი მოდის, ქაოსია, გაუგებრობაა – სად, რომელ ჯგუფში შეიყვანოს მშობელმა ბავშვი. რაც მთავარია, განწყობა კარგი გვაქვს და საზეიმოდ გვინდა შევხვდეთ ბავშვებს.

– გაცდენების გაკონტროლება გაცილებით მკაცრად მოხდება ახალი სასწავლო წლიდან?

– დიახ, გაცდენებს ვაფიქსირებთ ელექტრონულად და ეს გადაეცემა საიტით.

– რამდენი არასაპატიო გაცდენის შემდეგ ამოვარდება ბავშვი სიიდან?

– ეს ზუსტად გადაწყვეტილი არ არის. ალბათ, თექვსმეტისთვის უკვე გვეცოდინება, რადგან გარეთ ძალიან ბევრი ბავშვია დარჩენილი და ბევრი ელოდება ვაკანსიას. ერთი მხრივ, მისასალმებელია ასეთი კონტროლი – ადგილს ტყუილად აღარავინ დაიკავებს და მოხდება ბავშვების შემოდინება-გადინება.

– თქვენი კონტინგენტი მხოლოდ სოციალურად დაუცველებმა შეავსეს?

– არა, დარჩა 17 ადგილი. მაგრამ ეს ვაკანსია სამ წუთში დასრულდა. შარშან სულ შეგვივსეს ვაკანსიები სოციალურად დაუცველებმა. წელს არ გვქონია მიღება ბაღში, რადგან, ბაგის 2 ჯგუფი სრულად გადავიდა შემდეგ ეტაპზე. მხოლოდ ბაგაში მივიღებთ ახალ კონტინგენტს. გაისად ბაღში გამოვაცხადებთ მიღებას და არა ბაგაში. ასე ფართის სიმწირის გამო ხდება. სხვა პრობლემა ჩვენ არ გვაქვს. ორი პრობლემაა – გადატვირთული ჯგუფები და გარეთ დარჩენილი კონტინგენტი, რომელთაც სურთ მოსვლა და მათი მიღების საშუალება არ არის.

– რამდენად „გაუმკლავდებიან“ პედაგოგები ჯგუფში 40 ბავშვს?

– ჯგუფში პედაგოგი და თანაშემწე იმუშავებს. ბაღში რომ იმუშაო, უნდა გქონდეს ენთუზიაზმი, ენერგია და უნდა გიყვარდეს ბავშვები. სხვაგვარად 40-ს კი არა, 3 ბავშვსაც ვერ გაუმკლავდები.

№98-ე საბავშვო ბაღი იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც მშობელთა დაჟინებული მოთხოვნით 4 წლის წინ აღდგა და პირვანდელი ფუნქცია დაიბრუნა. მანამდე, სამი წლის განმავლობაში, დევნილები იყვნენ შესახლებულნი და ისეთ მდგომარეობაში დატოვეს შენობა, ხელოსნებს დირექტორისთვის უთქვამთ, ამის აღდგენას 2 წელი მაინც დასჭირდებაო. მაგრამ რემონტი 3 თვეში მოთავდა და 2010 წელს ბაღი ბავშვებს დაუბრუნდა.

თამილა მესხორაძე, 98-ე საბავშვო ბაღის გამგე:

– იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნა საბავშვო ბაღზე იყო ძალიან დიდი, 12 ბავშვი დაემატა და სულ 160 ბავშვი ჩაირიცხა. ბაგა არ გვაქვს, მხოლოდ 3-დან 6-წლამდე ბავშვებთან ვმუშაობთ. ჩვენთან არ არის დიდი ფართი. უზომოდ ვერ გავზრდით ჯგუფში ბავშვების რაოდენობას. ბავშვებმაც ხომ უნდა იგრძნონ თავი კომფორტულად?!

– მაინც რა რაოდენობის ბავშვი დაგრჩათ ბაღის მიღმა, მშობელთა რამდენი განცხადება შემოვიდა?

– მერწმუნეთ, იმ ფართს, რაც დღეს გაგვაჩნია, მეორე სართული რომ დამატებოდა, სულ შევავსებდით, ისეთი მოთხოვნაა. შეიძლება კიდევ დაგვრჩენოდა ნაწყენი მშობელი. ამ სიტუაციას იმას ვაბრალებ, რომ ბაღს კარგი მდებარეობა აქვს, ადვილი მისადგომია მშობლისთვის და მოთხოვნა მუდამ დიდია. კარგი სახელიც გვაქვს, და კარგი პედაგოგები გვყავს.

– ის დამატებული 12 ბავშვი რა პრინციპით შეირჩა?

– სათათბირო საბჭოს ვთხოვეთ და მოგვცა საშუალება 3–5 ბავშვი დაგვემატებინა თითო ჯგუფში. დედმამიშვილებმა შეავსეს და იმ პატარებმა, რომლებიც ერთ წელიწადში სკოლაში შედიან, აქამდე ვერ ხვდებოდნენ ბაღში და დამამთავრებელი ჯგუფის გავლა აუცილებლად სჭირდებოდათ. ასევე, იმ მშობლის შვილი, რომელიც მუშაობს, ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავს და მაისიდან თუ აპრილიდან დადიოდა ბაღში, ამოწმებდა სიტუაციას და განცხადებით მოგვმართა.

– კვებისათვის გამოყოფილი თანხების მატება ხომ არ იგეგმება?

– ამ ეტაპზე არ იგეგმება, მაგრამ თუ კარგად გაანაწილებ თანხას, საკმარისია – იმდენად კარგად იკვებებიან ბავშვები, შეიძლება დიდმა ადამიანმა „ვერ აიტანოს“ დღეში სამჯერ ასეთი კალორიული და მრავალფეროვანი საკვები. მშობლები ძალიან მადლიერები არიან.

– მენიუს თქვენ არჩევთ?

– იყო შემოთავაზება – 20 მენიუ, რომელთაგან ბაღს სასურველის არჩევა შეუძლია. რომ ვაკვირდებით დღეების და კვირების მიხედვით, ბავშვები რას უფრო მიირთმევენ – სოუზი ურჩევნიათ თუ გუფთა, ვითვალისწინებთ მათ გემოვნებას და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

პრემიერის უფლებები იზრდება

პრემიერს პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე, მთავრობის ნებისმიერი წევრის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილება ექნება

საქართველოს მთავრობამ, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც კონსტიტუციაში უკვე შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარეობს და ამ ცვლილებასთან ერთად, 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება, – დაამტკიცა.

კანონპროექტის ძირითადი პრინციპების თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილებები განისაზღვრება მხოლოდ კონსტიტუციით და არა სხვადასხვა კანონითაც, როგორც უწინ იყო. ამდენად, ის უფლებამოსილებები, რომლებიც კონსტიტუციაში აღარ წერია და დღეისათვის განსაზღვრულია მხოლოდ კანონით, უნდა გადანაწილდეს მთავრობასა და სხვა რელევანტურ ორგანოებზე. ასევე, ახლებურად ყალიბდება ურთიერთობები მთავრობასა და პარლამენტს, აგრეთვე, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის. მთავრობა ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

კანონპროექტის თანახმად, ამიერიდან საქართველოს მთავრობის კომპეტენცია აღარ იზღუდება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ფარგლებით. მთავრობის უფლებამოსილებები შესაძლებელია, დადგინდეს საქართველოს კანონითაც.

კანონით განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებზე პრემიერ-მინისტრის მიერ კონტრასიგნაციის განხორციელების წესი. კონტრასიგნაციას დაქვემდებარებულ სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობას ეკისრება. შესაბამისად, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, განსახილველად მთავრობის სხდომაზე გადის. მთავრობის მიერ სამართლებრივი აქტის მოწონების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი ხელს აწერს მას, რომლის შემდეგაც კონტრასიგნაციის პროცესი დასრულებულად ჩაითვლება.

ასევე, პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე, უფლებამოსილი იქნება, დანიშნოს და გაათავისუფლოს მთავრობის ნებისმიერი წევრი, აგრეთვე, მინისტრის მოადგილეები.

სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებები კი, (მაგალითად, დაზვერვის სამსახური), რომლებიც უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, უშუალოდ პრემიერის დაქვემდებარებაში გადადის, თუმცა, მათ ნორმატიულ აქტებს, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით მთავრობა დაამტკიცებს.

ამავე კანონპროექტით, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, განისაზღვრა როგორც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს მთავრობა. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, სამართლებრივი აქტის გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ მთავრობას ექნება. აღნიშნული კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ მოიწონა, განსახილველად საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

ნიუსპრესი

გოგი ჭიჭინაძე ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს უხელმძღვანელებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოუდგენელი რაღაც ხდება. ცუდიც რომ დასვა ორკესტრში, თუნდაც ცუდი ჩელისტი, ისიც კი აღარ არის. კატასტროფული მდგომარეობაა. ეს არის კადრების დეფიციტი. წარმოიდგინეთ, კბილის პრობლემა რომ გქონდეთ და თბილისში სტომატოლოგები არ იყვნენ. ასეთი მდგომარეობაა დღეს ქართულ საორკესტრო სივრცეში და თუ არის ორი-სამი, ეს არის ისეთი დონის, რომ ორკესტრში კი არა, მათი გამოშვება საერთოდ სცენაზე არ შეიძლება.

– რა გეგმებით მიდიხართ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში?

– ჩემი პირველი მოთხოვნა იყო ის, რომ სრული სტრუქტურული რეორგანიზაცია უნდა მოხდეს თეატრში. აუცილებლობად მიმაჩნია, ჩატარდეს კონკურსი. ეს კონკურსი ჩატარდება თეატრის ყველა რგოლში. განსაკუთრებით ორკესტრში რომ ჩატარდება კონკურსი პოზიციების დასაკავებლად, ის კონკურსი უნდა იყოს აუცილებლად საერთაშორისო. ეს არის აპრობირებული სისტემა მთელ მსოფლიოში – საერთაშორისო კონკურსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტი თეატრს უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ მაღალი დონის უცხოელი მუსიკოსი დაინტერესდეს იმისთვის, რომ საერთოდ ქუთაისში ჩამოვიდეს, დაუკრას კონკურსში და შეეცადოს დაიკავოს ადგილი და იმუშაოს ამ ქვეყანასა და ამ ქალაქში.

გარდა ამისა, უნდა გაკეთდეს უზარმაზარი საგანმანათლებლო პროგრამა. ამაში იგულისხმება ის, რომ ამ ორკესტრის დაკომპლექტების შემდეგ იქნებიან ძალიან მაღალი დონის მუსიკოსები, რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ რაღაც პროცენტი საუკეთესო ქართველი მუსიკოსებიც მოხვდებიან ამ ორკესტრში. ძალიან კარგად გვესმის, რომ თუ ჩატარდება სერიოზული, დიდი და საერთაშორისო კონკურსი, ძალიან დიდი პროცენტი ორკესტრში იქნებიან უცხოელი მუსიკოსები.

– რა საჭიროა ამდენი უცხოელი მუსიკოსი ქართული ორკესტრში?

– იცით, რატომ გვჭირდება ეს უცხოელი მუსიკოსები? გარდა იმისა, რომ ორკესტრი იქნება უმაღლესი დონის, ისეთი დონის, რომელიც ჩვენ ჯერჯერობით საქართველოში არ გვქონია არასდროს, მთავარი ის არის, რომ ისინი ჩამოსვლისთანავე, ორკესტრში დაკვრის და მუშაობის და რეპეტიციებისთანავე მომენტალურად დაიწყებენ სწავლებას, მუშაობას ბავშვებთან მუსიკალური განათლების ყველა რგოლში, მუსიკალური სკოლებიდან დაწყებული, ქუთაისში არის კოლეჯი და იმ კოლეჯით დამთავრებული. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ საუკეთესო მუსიკოსების ნაწილი, ვისაც აქვს პედაგოგიური გამოცდილება და ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სამსახურში მიღებისას, დაიწყებენ მუშაობას ბავშვებთან, ეს იქნება პერმანენტული მუშაობა. ეს მასტერკლასები კი არ იქნება, არამედ სერიოზული მუშაობა წარიმართება მუდმივად. 6 წლიდან დაწყებული, ყველა ბავშვთან იმუშავებენ. ჩვენ რამდენიმე წელიწადში უკვე მივიღებთ ეროვნულ ნაციონალურ კადრს და ეს იქნება პირველი ნაკადი მაღალპროფესიონალური ეროვნული კადრისა. ამით ერთხელ და სამუდამოდ ამ

დარგის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში იქნება გადაწყვეტილი. საჭიროა მასშტაბური ღონისძიებების დაწყება ამ სიტუაციის გამოსასწორებლად.

– ამ ყველაფრისთვის რა თანხას ითხოვთ?

– ის თანხა და ბიუჯეტი, რომელსაც ვითხოვ და მაქვს კაპიკ-კაპიკ გაწერილი რა და რისთვის დაიხარჯება, გვეჩვენება, რომ საკმაოდ დიდი თანხაა და ეს არ არის სწორი.

– მაინც რამდენს ითხოვთ?

– მოდით, ჯერჯერობით ამ თანხას არ დავასახელებ. მარტო იმას ვიტყვი, რომ ეს არის შედარებით დიდი ბიუჯეტი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს ბიუჯეტი არის ნებისმიერი პაწაწინა გერმანიის ქალაქის ნებისმიერი თეატრის ბიუჯეტზე სამჯერ და ოთხჯერ უფრო პატარა ბიუჯეტი. სამაგიეროდ, შედეგი, რომელსაც ეს გამოიწვევს, იქნება გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ამ პატარა ლოკალურ გერმანიის ქალაქებში, იმიტომ რომ ჩვენ გვექნება კავშირი იმ ბრწყინვალე ქართველ მომღერლებთან, რომლებიც არიან გაფანტული მთელ მსოფლიოში, მათთან იქნება უმჭიდროესი კავშირი.

– ქუთაისის თეატრში მათ მიწვევას აპირებთ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ სპექტაკლებს კი არ გამოვაცხობთ, ისე კი არ იქნება ორსამ კვირაში სპექტაკლები დავდგათ და ვაიმე, ვინ იმღერებსო, ამაზე კი არ დავიწყებთ ფიქრს, არამედ ჩვენ ორი წლით ადრე გვექნება გაწერილი ჩვენი პროგრამა ისევე, როგორც ეს ნორმალურ მუსიკალურ ორგანიზაციებში ხდება. ჩვენ გავწერთ მუშაობის გეგმას ორი-სამი წლით ადრე. ყველაფერი იქნება ცნობილი, ვინ იმღერებს 2015 წელს ამა თუ იმ სპექტაკლში, როდის, რა როლს შეასრულებს და ვის პარტიას იმღერებს.

– უცხოელი მუსიკოსები არიან თანახმა, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ და იმუშაონ?

– დიახ, იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი საგასტროლო გრაფიკი თითქმის მთელ მსოფლიოს მოიცავს, ძალიან ბევრ ნიჭიერ უცხოელ მუსიკოსს ვიცნობ.

– ამ შემთხვევაში თქვენი პიროვნებაა გადამწყვეტი?

– იცით, ძალიან ბევრ ორკესტრთან მიმუშავია და ბევრი ნაცნობი მყავს. ვიცნობ არაჩვეულებრივ მუსიკოსებს. ისეთ ბრწყინვალე მუსიკალურ ქვეყნებში, როგორიც არის პოლონეთი, გერმანია, ჰოლანდია, ჩეხეთი, სადაც არის ბრწყინვალე ორკესტრები და აკადემიები უშვებენ აუარებელ მუსიკოსს. იქარის ძალიან ბევრი არაჩვეულებრივი უმაღლესი დონის მუსიკოსი, რომელიც ზის უმუშევარი. იმიტომ რომ ძალიან ბევრნი არიან და ფიზიკურად ამდენი ორკესტრი არ არის. ისინი ელოდებიან, ვთქვათ, სანამ ვარშავის ორკესტრში მეორე ფაგოტისტი გავა პენსიაზე, რომ იქნება უზარმაზარ კონკურსში იმ ერთ ადგილზე სამუშაო იშოვონ. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ უბრწყინვალესი მუსიკოსები ჩამოვიყვანოთ. გერმანიაში უმაღლესი სკოლის ათი კურსდამთავრებულიდან ერთი შოულობს სამსახურს და ეს ათივე მუსიკოსი სხვადასხვა ნიჭის პატრონია, მაგრამ მათი პროფესიონალიზმი არის უმაღლესი ხარისხის. ევროპაში პირიქით არის – არიან ბრწყინვალე კადრები და ვერ შოულობენ სამსახურს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩამოვაბრძანოთ ისინი აქ, არა იმიტომ რომ ვიღაცებს სამსახური დავაკარგვინოთ, არამედ იმიტომ, რომ აღზარდონ კადრები. ორი-სამი ნაკადი რომ წამოვა ქართველი მუსიკოსების, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინიც დაიწყებენ სწავლებას და დარგიც გადარჩება. ამის პრობლემა მერე უკვე აღარ იქნება.

– იმედია, მათი ჩამოსვლით ქართველ მუსიკოსებს მასობრივად არ გაუშვებთ სამსახურიდან.

– არავითარ შემთხვევაში ეს არ იქნება. ყველაფერი გადაწყდება კონკურსის წესით და კონკურსი იქნება ძლიერი. კონკურსი იქნება დახურული ფარდის უკან, როგორც ხდება ყველგან მსოფლიოში. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ზოგი ქართველი კონკურსანტი შეძლებს და გაივლის ამ კონკურსს და ზოგი – ვერა. რამდენიმე დღეა მე და ჩემი გუნდი კატეგორიულად ვითხოვთ შეიქმნას კიდევ ძალიან დიდი პროგრამა იმისა, რომ ქართველი მუსიკოსი, ვინც მუშაობდა თეატრში, მაგრამ მისი დონე შეიძლება ასაკის გამო, თუ სხვა გარემოებების გამო არ შეესაბამება იმ უმაღლეს დონეს, რასაც ვითხოვ ამ თეატრისთვის, შეიქმნება პროგრამა, რომელიც ორნაწილიანი იქნება. პირველ ნაწილში იგულისხმება ის, რომ მოლაპარაკების მიხედვით ეს ადამიანები გადაყვანილი იქნებიან სხვა სამსახურში, უფრო ტექნიკურ მხარეს ვგულისხმობ. მათი ხელფასი იმაზე ნაკლები არ იქნება, არც მათ ჰქონდათ, როცა მუშაობდნენ, თუ მეტი არა. ის ხალხი, რომელიც სამწუხაროდ და საუბედუროდ, თეატრს აღარ გამოადგება, ისინი ყოველთვის იქნებიან ღვაწლმოსილი და საპატიო პიროვნებები ამ თეატრისთვის. ამ ადამიანებს ყოველთვის ექნებათ ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იქნება იმაზე ნაკლები, როდესაც ისინი თეატრში მუშაობდნენ.

– იმედია, თქვენც პოლიტიკური ნიშნით არ გაუშვებთ თეატრიდან ადამიანებს.

– როგორ გეკადრებათ! ეს ძალიან შორს არის ჩემგან, ეს გამორიცხულია. ყველაზე საშინელება ის არის, როცა პოლიტიკა კულტურაში ერევა. ჩემთვის ყველაზე მთავარია პროფესიონალიზმი და საქმე, მეტი აბსოლუტურად არაფერი მაინტერესებს. როგორც ჩემგან ვითხოვ, ზუსტად ისევე მოვითხოვ სხვისგანაც საქმისადმი ერთგულებას, პროფესიონალიზმს და პატიოსნებას მუშაობაში. სხვა არაფერი მაინტერესებს, არც მათი რწმენა და არც მათი პოლიტიკური შეხედულებები. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, რა მხარეც არ უნდა იყოს, მისმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ხელი არ უნდა შეუშალოს თეატრს ხელი მუშაობაში. თავს არ უნდა მოგვახვიოს თავისი შეხედულებები. კი ბატონო, კერძოდ, მე მომახვიოს, ამისთვისაც მზად ვარ, მთავარია, საქმეს არ ავნოს.

– რამდენად იცნობთ ქუთაისის თეატრის დასს?

– ბაბუაჩემის სახელს ატარებს ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, დედა არის ქუთაისელი, მიქელაძის ქალი, ჩემი პირველი კონცერტი და დებიუტი როგორც დირიჟორი 1992 წელს შედგა ქუთაისში, ასე რომ, ამით ყველაფერი ნათქვამია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნამდვილად მაქვს განსაკუთრებული ემოცია.

ძალიან მომწონს ის სტრატეგია, რომელსაც ატარებს ქვეყანა დეცენტრალიზაციის კუთხით. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, უპირველესად ყოვლისა, კულტურისა და ეკონომიკის თვალსაზრისით. არ შეიძლება, თბილისში იყოს ყველაფერი და დანარჩენ რეგიონებში იყოს სიყრუე, საშინელება და უბედურება. ასეთი რამ დაუშვებელია. ქუთაისისთვის ერთ-ერთი დიდი კულტურული ცენტრის ფუნქციის მინიჭება იქნებოდა ბრწყინვალე გამოსავალი იმისთვის, რომ ქუთაისი ამოძრავდეს და დაიბრუნოს ის თავისი სახელი და კულტურული დიდება, რომელიც წლების განმავლობაში იყო. ჩვენ ხომ ისტორია კარგად ვიცით და ცნობილია, რომ თბილისის ნახევარი ინტელიგენცია წამობრძანებულია ქუთაისიდან. ქუთაისმა თბილისს მისცა უზარმაზარი რამ, აუარებელი სახელები, სასწაული სახელები და სასწაული კულტურა. მგონია, რომ დროა, თბილისმა და სრულიად საქართველომ იზრუნოს იმაზე, რომ ქუთაისი წარდგეს მსოფლიოს წინაშე, როგორც კულტურული და განათლებული ქალაქი. ზოგადად, რეგიონების გამოცოცხლება აუცილებელია. ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა ამისთვის ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სპეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთ მის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

მარცხი სლოვაკებთან

სლოვაკეთი – საქართველო 1:0

სენეცი. ეროვნული სამწვრთნელო ცენტრი

1:0 ზრელიაკი (18)

სლოვაკეთი: ლე გიანგი, პაუშეკი, დიონატანი, დიომბერი, შკვარკა (ლობოდკა 46), ზრელიაკი, ლასიკი, ლობოტკა, პაური (გროშოვსკი 59), ლალკოვიჩი (მესაროში 78), შრანცი

საქართველო: ნადირაძე, ტვილდიანი, უბილავა, მამუკა კობახიძე, ყაზაიშვილი, პარუნაშვილი, პაპავა, კვეკვესკირი, კვერკველია (ჯიღაური 68), სხირტლაძე, ჭანტურია

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი გამარჯვებით დაიწყო და იმედი იყო, მომდევნო მატჩებსაც ასე გააგრძელებდა. ამის ოპტიმიზმს გუნდის დღევანდელი შემადგენლობა იძლეოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ევროპის საშუალო დონის გუნდებთანაც სწორ ფეხბურთს ვერ ვაჩვენებთ. მართალია, ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილი გუნდი სლოვაკებთან დომინირებდა და მასპინძლები რამდენჯერმე მეკარემ იხსნა, მაგრამ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ – ჩვენ სწორ ფეხბურთს არ ვთამაშობთ.

მე-10 წუთზე გიორგი ჭანტურიამ საჯარიმო დარტყმა შეასრულა, მაგრამ სლოვაკთა მეკარემ იყოჩაღა. მალე-ვე მასპინძლებმა კი ერთადერთი გოლი კუთხურიდან გაიტანეს – თავი ადამ ზრელიაკმა გამოიჩინა – 1:0.

36-ე წუთზე ვაკო ყაზაიშვილს გოლის გატანის შანსი მიეცა და ისევ სლოვაკთა მეკარემ იმარჯვა. ტაიმის მიწურულს კი უკვე ნადირაძეს მოუხდა კარის გადარჩენაზე ზრუნვა.

ჭანტურია და ყაზაიშვილი მეორე ტაიმშიც აქტიურობდნენ, თუმცა – უშედეგოდ. ერთხელ გიორგი პაპავამაც სცადა ბედი, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

მერე ჩვენმა მეკარემ ორჯერ გვიხსნა. მომენტები ქართველებსაც ჰქონდათ. მასპინძელთა კარს ყაზაიშვილი და კვეკვესკირი დაემუქრნენ, მაგრამ სლოვაკთა მეკარე ისევ ბრწყინვალედ გაისარჯა.

ალექსანდრე ჩივაძე:

– უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო და ბევრი საგოლე მომენტიც შევქმენით. მეტოქემ კუთხურიდან გაგვიტანა, ჩვენს მეკარეს დასანანი შეცდომა მოუვიდა. სამწუხაროდ, ჭანტურიამ, ყაზაიშვილმა და პარუნაშვილმა ვერ მოახერხეს საგოლე მომენტების გამოყენება, სლოვაკთა მეკარემ სასწაულად ითამაშა... შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, განლაგება 4-3-3 გვქონდა... სელექციას გავაგრძელებთ, შესარჩევი ეტაპი ახალი დაწყებულია და ყველაფერი წინაა. აუცილებლად ვიბრძოლებთ სასურველი შედეგის მისაღწევად.

სატუნირო ცხრილი:

1.სლოვაკეთი	2	2	0	0	8:1	6
2.ჰოლანდია	2	2	0	0	5:0	6
3.საქართველო	2	1	0	1	3:1	3
4.შოტლანდია	2	1	0	1	3:4	3
5.ლუქსემბურგი	4	0	0	4	1:14	0

სერენა და რაფა — ამერიკის ნეფე-დედოფალი

ამერიკის ღია პირველობა დასრულდა. თუ ქალთა ერთეულთა თანრიგში სერენა უილიამსის გამარჯვება ლოგიკური იყო, მამაკაცთა შორის გამარჯვებას თავდაპირველად ნოვაკ ჯოკოვიჩს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა, ზედ ფინალის წინ, აქცენტი რაფაელ ნადალზე გაკეთდა და ესპანელმაც თავისი მე-13 სლემ ტურნირი მოიგო.

ფინალები დამაინტრიგებელი და დაძაბული გამოდგა. ორივე შემთხვევაში, მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები ხვდებოდნენ. სერენა გაჩემპიონებით გახდა ტურნირის „უხუცესი“ გამარჯვებული, ხოლო ორივე ჩემპიონმა 3.6 მილიონი დოლარით შეივსო საბანკო ანგარიში.

ვიქტორია აზარენკასთან ფინალი თითქმის მთელი თამაში ამერიკელის სცენარით მიმდინარეობდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი პირველ და მესამე სეტში იყო. ბელარუსმა კი თავისი მებრძოლი ხასიათისა და კლასის გამოვლენა მხოლოდ მეორე სეტში შეძლო.

მართალია, პირველ სეტში აზარენკამ მოახერხა და მეტოქეს ბრეიკი გაუბათილა, მაგრამ საბოლოოდ ძალები არ ეყო და მაინც დამარცხდა.

მეორე სეტში სერენა 4:1 დაწინაურდა, ამასთან 2 ბრეიკით, მაგრამ აზარენკამ იბრძოლა და მაინც მოახერხა სეტის სათავისოდ შემობრუნება. მატჩმა ინტრიგა მიიღო, მაგრამ სერენამ მესამე სეტის დასაწყისშივე მოკლა და იოლად იმარჯვა.

სერენა უილიამსი ჟუსტინ ენინისა (2007) და კიმ კლაისტერსის (2010) შემდეგ პირველი ქალი ჩოგბურთელია, ვინც მოახერხა ტიტულის დაცვა.

სერენა უილიამსი:

– ვიქტორია ბრწყინვალე მოთამაშეა. ყველა მომენტში ბოლომდე იბრძვის, ამიტომ მატჩბოლამდე გადაწყვეტილი არაფერი იყო.

ფინალი მამაკაცთა შორის ყოველთვის მეტი ინტერესით სარგებლობს, მით უმეტეს, როცა საქმე ნოვაკსა და რაფას ეხება. მსოფლიო ჩოგბურთის რეიტინგის ლიდერები ყოველთვის სანახაობრივ და დაძაბულ შეხვედრებს გვთავაზობენ და გამონაკლისი არც „არტურ ეშის“ სახელობის კორტზე იხილა მაყურებელმა, რომელთა შორისაც იყვნენ: შონ კონერი, ლეონარდი დიკაპრიო, ჯესიკა ალბა, ჯასტინ ტიმბერლეიკი, დევიდ ბექჰემი და სხვა ცნობილი სახეები.

ესპანელმა მეტოქე ოთხი სეტის ჯამში: 6:2;3:6;6:4;6:1 დაამარცხა. ნადალმა უკვე მეორედ იმარჯვა ამერიკაში, ხოლო ჯამში კი, 13 სლემის ჯილდო დაუგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელს შარშანდელი წელი ტრავმების გამო გაუცდა, მან მოახერხა რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია, რომ არტრუ ეშის კორტზე ნადალმა და ჯოკოვიჩმა 23.000 მაყურებელს 54-დარტყმიანი გათამაშება ანახეს, რომელიც ტურნირზე ყველაზე ხანგრძლივ გათამაშებას 20 დარტყმით სჯობს.

რაფაელ ნადალი:

– ჩემმა გუნდმა და ოჯახმა კარგად იცის თუ რა ემოციური მომენტია გამარჯვება ჩემთვის. წლევანდელი გეგმები მხოლოდ სეზონის დასრულებას ითვალისწინებდა, თუმცა მოვახერხე „როლან გაროსისა“ და ამერიკის ღია პირველობის მოგება. ნოვაკი შესანიშნავი მოთამაშეა და იმედი მაქვს, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს კორტზე.

როგორც უკვე გითხარით, ნადალს „დიდი სლემის“ 13 ტიტული დაუგროვდა, ერთიც და ის პიტ სამპრასს დაეწევა. ამ სიას კი როჯერ ფედერერი ლიდერობს 17 ტიტულით.

ევროპირველობაზე პირველი ეტაპი დასრულდა

საქართველოს ნაკრებისთვის ევრობასკეტი დასრულდა, მაგრამ მეორე ჯგუფური ეტაპი ჯერ კიდევ წინ არის. უნდა ითქვას, რომ ეს ევროპირველობა საკმაოდ სენსაციური გამოდგა, რაც პირველი ეტაპის ბოლო სათამაშო დღემაც დაადასტურა. უმთავრესი სენსაცია დ ჯგუფში მოხდა, სადაც ფინეთმა საბერძნეთი დაამარცხა და ევროპული კალათბურთის გრანდი ნული ქულით გადაუშვა მეორე რაუნდში.

მივყვეთ თანმიმდევრბით:

ა ჯგუფი

ბრიტანეთი-უკრაინა 68:87

ბრიტანეთი: ვან ოუსტრუმი (12ქ), ეჩარა (12ქ), ლოურენსი (10ქ)

უკრაინა: ნატიაჭკო (11ქ), ზაიცევი (11ქ), ჯეტერი (10ქ), მიშულა (10ქ)

გადახედეთ უკრაინელთა ყველაზე შედეგიან კალათბურთელებს? ნატურალიზირებული ჯეტერის გარდა საქვეყნოდ ცნობილი არცერთი არ არის. სამაგიეროდ, ფრატელომ გუნდი შეკრა და უკრაინაც „გოპაკის“ ცეკვით გავიდა ჯგუფიდან.

მატჩის ბედი, პრაქტიკულად, პირველივე წუთებზე გადაწყდა, როცა მესამე წუთისთვის უკრაინა 9:2 გაიქცა და ამის შემდეგ ბრიტანეთი მუდმივად მდევრის როლში იყო.

გერმანია-ისრაელი 80:76

გერმანია: შტაიგერი (15ქ), გიუნტერი (15ქ), პლიაისი (14ქ,14მ), ბენციენგი (12ქ)

ისრაელი: კასპი (22ქ,13მ), ჰალპერინი (16ქ), ელიაჰუ (16ქ,11მ), პნინი (10ქ)

გერმანიამ ჯგუფის ორი ფავორიტი დაამარცხა – საფრანგეთი და ისრაელი, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც ვერ გავიდა. ასევე ჯგუფში ჩარჩა ისრაელის ნაკრებიც, რაც მოულოდნელი იყო. თუმცა, ფაქტია – მარტო სახელი უკვე კალათბურთს აღარ თამაშობს.

ბელგია-საფრანგეთი 65:82

ბელგია: ერველი (13ქ), ვან როსომი (12ქ,8მ), ტაბუ (11ქ)

საფრანგეთი: პარკერი (20ქ,6ჰ), ლოვერნიე (14ქ), ჟელაბალი (13ქ), დიაო (12ქ)

ორივე გუნდი შემდეგ ეტაპზე გასული იყო, მაგრამ ვის რამდენი ქულა გადაყვებოდა, გასარკვევი ეს ჰქონდათ. ფრანგებმა ისევ ანერვიულეს თავიანთი გულშემატკივრები და პირველი ტაიმი 12 ქულით წააგეს. შემდეგ რა მოხდა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

სატუნირო ცხრილი:

1.საფრანგეთი	5	4	1403:344	9
2.უკრაინა	5	4	1378:352	9
3.ბელგია	5	2	3344:371	7
4.გერმანია	5	2	3390:396	7
5.ბრიტანეთი	5	2	3360:396	7
6.ისრაელი	5	1	4364:380	6

ბ ჯგუფი

ლატვია-მაჯედონია 76:66

ლატვია: იანიჩენკსი (15ქ), კ.ბერძინსი (15ქ,9მ), ბერტანში (12), მეიერსი (12ქ,9მ)

მ: ანტიჩი (16ქ), ბეჩევსკი (11ქ)

შეხვედრის დებიუტშივე ლატვიას კომფორტული უპირატესობა კასპარს ბერძინსმა მოუტანა, რომელსაც ერთი მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე – 15 ქულა და 9 მოხსნა. საერთოდ, ბალტიისპირელები ამ ევროპირველობაზე სოლიდურად გამოიყურებიან და სენსაციის შემოთავაზება მეორე ეტაპზეც შეუძლიათ.

ლიტვა-ბოსნია 72:78

ლიტვა: კლეიზა (20ქ,10მ), პოჩიუსი (14ქ), კალნიეტისი (11ქ,6ჰ)

ბოსნია: ტელეტოვიჩი (31ქ,7მ), ჯედოვიჩი (20ქ), კიკანოვიჩი (10ქ)

ბოსნიის ნაკრებს მინიმუმ ათი ქულით მოგება სჭირდებოდა იმისთვის, რომ ჯგუფში ჩაეტოვებინა ლიტვა და თავად გასულიყო შემდეგ ეტაპზე, მაგრამ ვერც თავიანთი ლიდერის, მირზა ტელეტოვიჩის შესანიშნავმა თამაშმა უშველა. ბალტიისპირელები ლინას კლეიზამ გადაარჩინა, რომელმაც ამ ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

ჩეხოგოხია-სერბეთი 83:76

ჩერნოგორია: რაისი (12ქ), ბიელიცა (11ქ), დუბლიევიჩი (11ქ), ა.პოპოვიჩი (10ქ,6ჰ)

სერბეთი: ბოგდანოვიჩი (14ქ), ბიელიცა (11ქ)

სერბებთაგან მხოლოდ 2 კალათბურთელი გადაცდა 10-ქულიან ზღვარს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გუნდურ კალათბურთს თამაშობენ.

სატუნირო ცხრილი:

1.სერბეთი	5	3	2371:366	8
2.ლიტვა	5	3	2347:337	8
3.ლატვია	5	3	2365:360	8
3.ბოსნია	5	3	2358:359	8
5.ჩერნოგორია	5	2	3376:382	6
6.მაკედონია	5	1	4356:369	6

ც ჯგუფი

ხორვატია-ჩეხეთი 70:53

ხორვატია: ტომიჩი (12ქ,9მ), ბოგდანოვიჩი (11ქ), შარიჩი (11ქ), სიმონი (10ქ), ზორიჩი (10ქ)

ჩეხეთი: პუმპრლა (19ქ), ვესელი (11ქ,11მ), სატორანსკი (9ქ,8ჰ)

მესამე მეოთხედის დასრულებამდე 6 წუთითა და 23 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო – 40:40, მაგრამ შემდეგ ხორვატები აბობოქრდნენ და მატჩი გამარჯვებამდე იოლად მიიყვანეს.

სლოვენია-პოლონეთი 61:71

სლოვენია: ლორბეკი (13ქ)

პოლონეთი: კელატი (21ქ), გორტატი (19ქ,12მ)

არაფრისმომცემი მატჩი – სლოვენიამ დაისვენა და მეორე ეტაპისთვის უფრო მომზადებული შეხვდება. ერთიცაა: მასპინძლებს მეორე ეტაპზე მსაჯების დახმარება არ უნდა გადაყვეთ.

სატუნირო ცხრილი:

1.ესპანეთი	5	4	1369:269	9
2.ხორვატია	5	4	1337:341	9
3.სლოვენია	5	3	2347:344	8
4.ჩეხეთი	5	2	3316:339	7
5.საქართველო	5	1	4 0	6
6.პოლონეთი	5	1	4329:377	6

დ ჯგუფი

საბერძნეთი-ფინეთი 77:86

საბერძნეთი: ზისისი (19ქ), სპანულისი (17ქ), მავროკეფალიდისი (10ქ,7მ)

ფინეთი: კოპონენი (29ქ), მუურინენი (15ქ), კოტი (14ქ), ჰუფი (13ქ)

ფინეთს ორი ვეტერანი ლიდერი აკლდა – ტეემუ რანიკო და ჰანო მოტოლა. და მაინც, სკანდინავიელებმა შესანიშნავი პირველი ტაიმი ითამაშეს და დიდი შესვენებისთვის 48:39 დაწინაურდნენ.

ბერძნები, რომლებიც თავიდან ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტებად იყვნენ მიჩნეულნი, მეორე ეტაპზე კი გავიდნენ, მაგრამ რამდენად შეძლებენ პლეი ოფის საგზურის მოპოვებას, ეს უკვე მათ მარიფათზეა დამოკიდებული.

იტალია-შვედეთი 82:79

იტალია: ჯენტილე (19ქ), არადორი (16ქ,7მ), ჩინჩარინი (12ქ), მელლი (11ქ)

შვედეთი: ტეილორი (28ქ,7მ), იერეგაკო (21ქ,8მ)

იტალია ერთადერთი გუნდია, რომელიც პირველ ეტაპზე შემდეგ არ დამარცხებულა. ამის შანსი ბოლო ტურში ჰქონდათ, რადგან ეს მატჩი მათთვის არაფერს წყვეტდა, მაგრამ მოინდომეს და მაინც მოიგეს.

თურქეთი-ჩესეთი 77:89

თურქეთი: სავაში (18ქ), გიონლუმი (17ქ), ილიასოვა (13ქ), არსლანი (12ქ

რუსეთი: კარასიოვი (25ქ), ანტონოვი (14ქ), პონკრაშოვი (13ქ), სავრასენკო (12ქ)

ორივე გუნდი შემდეგ ეტაპზე გასვლის კანდიდატებად მიიჩნეოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბოლო ტურში მათი თამაში ფორმალობად იქცა. უკვე ჩემოდნებჩალაგებული გუნდების დაპირისპირება რუსთა გამარჯვებით დასრულდა, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მათთვის.

სატუნირო ცხრილი:

1.იტალია	5	5	0391:339	10
2.ფინეთი	5	4	1358:337	9
3.საბერძნეთი	5	3	2392:350	8
4.შვედეთი	5	1	4345:391	6
5.თურქეთი	5	1	4355:398	6
6.რუსეთი	5	1	4374:400	6

შედეგები

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

კუვეიტი-ბაჰრეინი 2:1
ს.არაბეთი-ტრინიდადი 1:3
ყატარი-ლიბანი 1:1
საემიროები-ა.ზელანდია 2:0
იაპონია-განა 3:1

ევრ.2015. შესარჩევი ეტაპი (21)

კვიპროსი-იტალია 0:2
ბოსნია-ავსტრია 0:2
ლუქსემბურგი-ჰოლანდია 0:1
ფინეთი-ინგლისი 1:1
უკრაინა-ხორვატია 0:2
ლიხტენშტეინი-შვეიცარია 0:6
სლოვაკეთი-საქართველო 1:0
ბელგია-ჩრ.ირლანდია 1:0
ბელარუსი-საფრანგეთი 1:2
ესპანეთი-ალბანეთი 4:0
ირლანდია-გერმანია 0:4

ჩოგბურთი

ამერიკის ღია ჩემპიონატი

ჯაჯები. ფინალი

ნადალი-ჯოკოვიჩი 6:2;3:6;6:4;6:1

ქალები. ფინალი

უილიამსი ს.-აზარენკა 7:5;6:7;6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თბილისი დოკუმენტური ფილმების ფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

თბილისში დოკუმენტური ფილმების ფესტივალი „სინე დოკ თბილისი“ გაიმართება, რომელიც კავკასიაში პირველი ფართომასშტაბიანი დოკუმენტური კინოფესტივალია. მისი მიზანია, 5 დღის განმავლობაში საფესტივალო გარემო ფართო საზოგადოების თავშეყრის ადგილად აქციოს.

საფესტივალო ვენიუ — კინოთეატრი „რუსთაველი“ უმასპინძლებს უცხოელ და ქართველ კინოპროფესიონალებს, ექსპერტებს, საერთაშორისო ფონდებს, კინომოყვარულებსა და ფესტივალის განსაკუთრებულ სტუმრებს — ბავშვებს.

ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგენს მასტერკლასებს, ვორქშოფებს, კონფერენციებს, მრგვალი მაგიდის შეხვედრებს, თოქ-შოუებს და, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმების საინტერესო კრებულს.

მასტერკლასები და კონფერენციები, რომლებსაც წარუძღვებიან ევროპელი კინოექსპერტები და სხვადასხვა ფესტივალის წარმომადგენლები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა, თანამედროვე შემოქმედებითი დოკუმენტური კინოს განვითარება-პოპულარიზაცია სამხრეთ კავკასიაში. აგრეთვე ყურადღება დაეთმობა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის ფორმატსა და თანამშრომლობის თანამედროვე მოდელს ტელევიზიებსა და დამოუკიდებელ კინოპროფესიონალებს შორის.

„სინე დოკ თბილისი“ შედგება 5 სექციისგან, რომელსაც კინოთეატრი „რუსთაველი“, გოეთეს ინსტიტუტი და კინოს სახლის კინოდარბაზი „ქოლგა“ უმასპინძლებს. ეს სექციებია: ინტერნეშენალ კომპეტეიშენ, ფოკუს კაუკასუს, სინე დოკ იანგ, ქართული პანორამა და ვორქშოფი – დოკსთორის ჯორჯია. ფესტივალის ორგანიზატორების თქმით, ყველა სექციას თავისი დატვირთვა ექნება.

ფოკუს კაუკასუს ფარგლებში ჩატარდება კონფერენციები, სადაც ყურადღება დაეთმობა კავკასიის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობასა და პროფესიულ ნეთვორკს. მოეწყობა მრგვალი მაგიდის შეხვედრები, სადაც მოწვეული იქნებიან კინოპროფესიონალები და მედიის წარმომადგენლები კავკასიის რეგიონიდან და მეზობელი ქვეყნებიდან, მათ შორის რუსეთიდან და თურქეთიდან.

სინე დოკ იანგ ადგილს უთმობს ბავშვებს. მოსწავლე ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთვებიან საფესტივალო ცხოვრებაში, გაეცნობიან ბავშვებზე და ბავშვებისთვის შექმნილ დოკუმენტურ ფილმებს. მათთან ერთად მოეწყობა სხვადასხვა ტიპის აქტივობები, როგორც დისკუსია-საუბრები, ასევე ამ სექციის ყოველი დღე მათთვის შემოქმედებითად დაიტვირთება სხვადასხვა პროგრამებით. გამარჯვებული ახალგაზრდა დაჯილდოვდება პრიზით და მისი ნამუშევარი განთავსდება ფესტივალის ვებ და ფეისბუქ-გვერდზე.

ფესტივალის ფარგლებში ქართველი რეჟისორებისთვის და პროდიუსერებისთვის ჩატარდება ვორქშოფი – დოკსთორის ჯორჯია. მონაწილეებს საშუალება მიეცემათ უცხოელი ტუტორების დახმარებით განავითარონ თავიანთი პროექტები. ვორქშოფის დასკვნით ნაწილში გაიმართება ფიტჩ-პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრებიან საერთაშორისო ფონდების და ტელევიზიების წარმომადგენლები. ქართველი კინოპროფესიონალებისთვის ეს იქნება უნიკალური შესაძლებლობა საერთაშორისო კოპროდუქციის შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

სინე დოკ-თბილისი დაეხმარება რეჟისორებს, დამოუკიდებელ პროდიუსერებს და, ზოგადად, კინოპროფესიონალებს პროფესიულ განვითარებაში, თითოეული სექციის კინოჩვენებების შემდეგ გაიმართება შეხვედრები, საუბრები და განხილვები, მოწვეული სტუმრებისთვის, კინოპროფესიონალებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის.

ფესტივალი სცდება ტრადიციულ ფორმატს. საზოგადოების აქტიურ წევრებს, სოციალურ მუშაკებს, კინომოყვარულებსა და ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ კინოექსპერტებთან ერთად ისაუბრონ აქტუალურ თემებზე და მიიღონ სიამოვნება საფესტივალო გარემოთი.

ფესტივალის ორგანიზატორია „ნუსფერა ფოუნდეიშენი“, რომელმაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განახორციელა 4 საერთაშორისო და ადგილობრივი კინოპროექტი. ორგანიზაცია „ნუსფერა ფოუნდეიშენი“ დაარსდა ორი წლის წინ. მისი მიზანია შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმის პოპულარიზაცია საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ამ მცირე დროში „ნუსფერა ფოუნდეიშენმა“ მოახერხა სხვადასხვა სახის პროექტების ორგანიზება, როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ასევე ფილმის პროფესიონალებისათვის საერთაშორისო დონეზე.

პროექტების ორიგინალური და შედეგზე ორიენტირებული კონცეფციიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ შეძლო მრავალ საერთაშორისო პარტნიორებთან და ქვეყნებთან თანამშრომლობა.

ფესტივალი ხორციელდება სხვადასხვა უცხოური კომპანიების თანადგომითა და თბილისის გოეთეს ინსტიტუტის, ფრანგული ინსტიტუტის, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

კინოფესტივალის საერთაშორისო საკონკურსო პროგრამაში ჩართული იქნება ისეთი ფილმები, რომლებიც ინოვაციური თხრობის სტრუქტურითა და საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების წარმოჩენით მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ორიგინალური ფორმა, გამორჩეული ვიზუალური კონცეფცია, განსხვავებული ჟანრები – ამ სექციაში მოხვდება ბოლო ორი წლის მანძილზე გადაღებული საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო დოკუმენტური ფილმები, ეს განყოფილება ეძღვნება საუკეთესოთა შორის საუკეთესო საავტორო ფილმებს.

სექციაში ფოკუს კაუკასუს კავკასიის რეგიონში შექმნილი დოკუმენტური ფილმები შევა. ამ სექციაში სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და რუსეთში გადაღებული დოკუმენტური ფილმები მიიღებს მონაწილეობას. ფილმების ჩვენებასთან ერთად, დისკუსიები და სამუშაო შეხვედრები მოეწყობა, რომელშიც მეზობელი ქვეყნების რეჟისორები, პროდიუსერები, კინომცოდნეები მიიღებენ მონაწილეობას.

ქართული პანორამა ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში შექმნილ დოკუმენტურ ფილმებს დაეთმობა. ნამუშევრებს წარადგენენ სხვადასხვა თაობის კინორეჟისორები. ეს არის სექცია, რომელიც აერთიანებს როგორც კინემატოგრაფისტებს, ისე ფართო საზოგადოებას. მრგვალი მაგიდის ფორმატში და კინოჩვენებების შემდეგ გაიმართება საუბრები, რომელიც განიხილავს ქართული დოკუმენტური კინოწარმოების პრობლემებსა და მიღწევებს. ამავდროულად, ქართველი რეჟისორები გაიზიარებენ უცხოელი კინოექსპერტების გამოცდილებას.

სინე დოკ იანგის სექციის კინოჩვენებებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი უმასპინძლებს. მოზარდებისთვის განკუთვნილი ფილმების თემატიკა შემდეგია: მოზარდთა პორტრეტები, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, გენდერი, ეკოლოგია. ფესტივალის ფარგლებში სკოლებსა და საგანმანათლებლო ცენტრებში სტუმრობაა დაგეგმილი. ვიზიტების დროს წარადგენენ ფილმებს, რომლებიც ნაჩვენები იქნება სინე დოკ იანგის ფარგლებში. ამასთანავე, მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მოამზადონ ესსე ან ვიზუალური არტი. მათი ნაშრომები საფესტივალო ღონისძიებაზე გამოიფინება.

მეხუთე სექცია გოეთეს ინსტიტუტის შენობაში გაიმართება, რომელიც მთლიანად ვერნერ ჰერცოგის შემოქმედებას დაეთმობა.

ფილმების საკონკურსო პროგრამისთვის რეგისტრაცია 10 აგვისტომდე გაგრძელდა. საკონკურსო პროგრამაში ჩართვა მხოლოდ 2011-2013 წლებში გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს შეეძლოთ.

ფესტივალმა უკვე გამოაცხადა ფილმების განაცხადების მიღება საერთაშორისო საკონკურსო პროგრამის და ფოკუს კაუკასუს სექციისთვის. კინოპროექტის განთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციები ფესტივალის ვებ-გვერდზეა განთავსებული. ფილმები სავალდებულოა წარმოდგენილი იყოს ინგლისური სუბტიტრებით. ფესტივალის პარალელურად, ჩატარდება ვორქშოფი დოკსოორის ჯორჯია. „ნუსფერა ფოუნდეიშენმა“ და საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა განაახლეს სააპლიკაციო კონკურსი პროექტისათვის დოკსოორის ჯორჯია, რომელიც ჩატარდება სინე დოკ თბილისის ფარგლებში. კონკურსის სლოგანია „დამოუკიდებლობის 25 წელი“ ან „მშვიდობით, საბჭოთა საქართველო“. დოკსთორის ჯორჯია მიზნად ისახავს საქართველოში შემოქმედებითი და ინოვაციური დოკუმენტური კინოპროექტების განვითარებას. ვორქშოფში მონაწილეობისთვის შერჩეული იქნება 10 პროექტი. პროექტი უნდა წარადგინოს პროდიუსერმა და რეჟისორმა ერთად. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეულ პროექტს წარადგენს მხოლოდ რეჟისორი, პროექტის ორგანიზატორები დაეხმარებიან ქართველი პროდიუსერის მოძიებაში. 7 დღის მანძილზე მონაწილეები განავითარებენ საკუთარ პროექტებს, ხოლო სესიის დასკვნით ნაწილში სინე დოკ თბილისის ფარგლებში, მოეწყობა ფიტჩინგ ფორუმი. ჯგუფური შეხვედრების დროს მოწვეული ექსპერტები ავტორებთან ერთად სიღრმისეულად განიხილავენ და შეაფასებენ პროექტის სუსტ და ძლიერ მხარეებს. ამ სესიის დროს ექსპერტები ეტაპობრივად გაეცნობიან თითოეულ პროექტს და დაეხმარებიან მონაწილეებს მათ სრულყოფაში.

მასტერკლასები ჩატარდება შემდეგ თემებზე: თხრობის სტრუქტურა – პროექტის დრამატურგიული განვითარება, ვიზუალური ფორმისა და პერსონაჟების შერჩევა. მასტერკლასი მიმოიხილავს განსხვავებული ჟანრის დოკუმენტური ფილმების სტრუქტურას. ამასთანავე მასტერკლასი მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიც არის საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის ჩვენება და ანალიზი. ეს ნაწილი რომელსაც ჩაატარებენ გამოცდილი უცხოელი დრამატურგები, ორიენტირებული იქნება რეჟისორებზე. მეორე კომპონენტია პროექტების შეფუთვა – პროდიუსერები მიიღებენ გამოცდილებას, თუ როგორ უნდა დაიწეროს სინოფსისი, ვრცელი აღწერა, სლოგანი, ფინანსური გეგმა, სტრატეგია და ბიუჯეტი. მოწვეული იქნებიან საერთაშორისო კომპანიებსა და კინოფონდების წარმომადგენლები. კინოპროფესიონალები გაეცნობიან, თუ როგორი სპეციფიკით მუშაობენ სხვადასხვა საერთაშორისო ფონდები. მესამე საკითხით ევროპის აუდიო-ვიზუალური ბაზრის მიმოხილვა – მასტერკლასის ამ ნაწილში მონაწილეები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას დასავლეთ ევროპის იმ სატელევიზიო მაუწყებლების შესახებ, რომლებიც თანამშრომლობენ აღმოსავლეთ ევროპელ პროდიუსერებთან. მოწვეული ექსპერტების საშუალებით მონაწილეები შეიტყობენ თუ რა სივრცე უჭირავს კრეატიულ დოკუმენტურ ფილმს ამა თუ იმ საერთაშორისო სატელევიზიო არხზე. მეოთხე კომპონენტია კო-პროდუქცია – ამ ნაწილში მონაწილეები გაეცნობიან კო-პროდუქციის სპეციფიკას, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ ქართველმა და უცხოელმა პროდიუსერებმა. ყურადღება დაეთმობა კო-პროდუქციის კონტრაქტების შედგენას და საავტორო უფლებების საკითხებს. რაც შეეხება პიტჩინგ ფორუმს, ის მოეწყობა ბოლო დღეს და იქნება საერთაშორისო, სადაც რეჟისორი და პროდიუსერი წარმოადგენენ თავიანთ პროექტებს. ფორუმზე მოწვეული იქნებიან დისტრიბუტორები, გაყიდვების აგენტები, ფონდები და ტელევიზიის წარმომადგენლები.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, კინოფესტივალს ეყოლება ჟიური-კომისია, რომელიც შედგება საერთაშორისო ექსპერტებისაგან. სწორედ ის შეარჩევს მაქსიმუმ 10 პროექტს. სესიები ჩატარდება ინგლისურ ენაზე, რადგან სამუშაო ენა არის ინგლისური.

ღონისძიებებში ჩართულია მიზნობრივი ჯგუფიც – პროფესიონალი კინორეჟისორები და პროდიუსერები მინიმუმ ერთი განხორციელებული პროექტით. რაც შეეხება სააპლიკაციო დოკუმენტებს, აპლიკანტმა ფესტივალის ორგანიზატორებს უნდა მიაწოდოს სინოფსისი (მაქსიმუმ 1 გვერდი), თრითმენთი (მაქსიმუმ 2 გვერდი), ვიზუალური მასალა (ფოტო-ვიდეო მასალა: თრეილერი ან წინა ნამუშევარი), ფინანსური გეგმა, წარმოების გრაფიკი, სამოტივაციო წერილი (პროდიუსერი, რეჟისორი), ბიო-ფილმოგრაფია (მაქსიმუმ 2 გვერდი). ყოველი დოკუმენტი უნდა იყოს ატვირთული სააპლიკაციო გვერდზე. არასრული აპლიკაცია არ განიხილება. რაც შეეხება შერჩევის კრიტერიუმებს, აქ გათვალისწინებულია პროექტის ხარისხი, ვიზუალური კონცეფცია და ვიდეო მასალა, ასევე საერთაშორისო პოტენციალი.

ვორქშოფი ჩატარდება 13-19 ოქტომბერს სინე დოკ თბილისის ფარგლებში. ის ფესტივალის პარალელურად, ქართველ რეჟისორებსა და პროდიუსერებს შესაძლებლობას მისცემს საერთაშორისო დოკუმენტური კინობაზრის სტანდარტების შესაბამისად განავითარონ და შეფუთონ საკუთარი კინოპროექტები.

ვორქშოფის პროგრამაშია მასტერკლასები, ჯგუფური სამუშაოები, წინა საპრეზენტაციო ტრენინგი, პიტჩინგ ფორუმი და ვან ინ ვან შეხვედრები, რომელსაც წარმოადგენენ საერთაშორისო კინოინდუსტრიის სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე ექსპერტები – რეჟისორები, პროდიუსერები, დისტრიბუტორები, გაყიდვების აგენტები და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი კავკასიაში 15 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდება.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კატეგორიული, დაჟინებითი მოთხოვნა; 2. იაპონური მოტოციკლეტი; 3. სატირული ხასიათის მიბაძვა; 4. ხშირი, წიწვოვანი ტყის ზონა ევროპის, აზიის, ამერიკის ჩრდილო ნაწილში; 5. გრამატიკის ნაწილი; 6. ოსაკაში განთავსებული იაპონიის ყველაზე დიდი აეროპორტი; 7. მონასტრის მსახური; 9. თავღია ღუმელი მწვადის შესაწვავად; 13. ქალაქი ჰოლანდიაში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

თარაზულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 3. ზღვის ყაჩაღი; 8. პატარა კაფე საფრანგეთში; 10. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა; 11. სპირტიანი სასმელი; 12. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 14. სახელმწიფო ევროპაში; 15. კაზაკთა წინამძღოლი; 16. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 19. ცეცხლგამძლე თიხის ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 21. ძალზე მტკიცე მინერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰიპოლოგია; 2. მორთული; 3. სინუსი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხუცესი; 12. ქალაქი; 14. მწდე; 16. ორაგული; 17. „ფაიზერი“; 19. ლექსიკა; 21. ქორქი; 22. „ტოკაი“.

თარაზულად: 6. ტიბიკონი; 7. „გურიელი“; 8. ჟოკეი; 9. ალათაუ; 10. სესხი; 13. „გიუმი“; 15. როტვეილერი; 18. წირქოლი; 20. არვე; 21. ქურუმი; 23. დისლოკაცია; 24. რუდაქი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ანანიძე; 2. პირინეი; 3. დიასტოლა; 4. პარიკი; 5. მესხეთი; 8. „მარტელი“; 9. ოოსემიტე; 12. დეპარდიე; 13. ფსირცხა; 16. დედვეიტი; 17. „იაგუარი“; 19. აწყური; 20. სულორი.

თარაზულად: 6. ინსტინქტი; 7. „ნაცნობი“; 8. „მოსადი“; 10. სიმონია; 11. გეტა; 14. „არსენალი“; 15. სპინინგი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. ჭუპრი; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

შსს-ს თანამშრომლებს „დიდგორი 2013“-ის დაჯილდოებაზე სპეციალური ჯილდო გადაეცათ

უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 2013“-ის დასრულებასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროში, სერტიფიკატების გადაცემის და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. სწავლებაში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა წარმომადგენელს სერტიფიკატები გადაეცათ. ხოლო შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს სამმა თანამშრომელმა, წარმატებული საქმიანობისთვის, სერთიფიკატებთან ერთად სპეციალური ჯილდოებიც მიიღეს.

„დიდგორი 2013“ საქართველოში პირველი სამხედრო-სამოქალაქო უწყებათაშორისი სწავლება იყო, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად იყვნენ ჩართულნი. სწავლების მიზანი კრიზისული და საომარი სიტუაციების დროს სამთავრობო უწყებებს შორის სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის კოორდინაცია იყო.

„დიდგორი 2013“ მიმდინარეობისას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარ სამმართველოს ეკავა.

ნიუსპრესი

ჩოგბურთის მდიდარი გულშემატკივრები

დასაწყისი მე-12 გვერდზე

2. ჯეი-ზი — ცნობილი ამერიკელი რეპერი და მომღერალ ბიონს ნოულზის მეუღლე

იგი იშვიათად ტოვებს დიდი სლემის ტურნირებს ამერიკასა და საფრანგეთში. 2011 წელს ჯეი-ზი „როლან გაროსის“ ფინალურ მატჩს დაესწრო, როდესაც ნადალმა სოდერლინგს სძლია. ამერიკელი რეპერი „რაფას“ ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია და მისი ოჯახის წევრების გვერდით იჯდა VI ლოჟაში.

3. პიპა მიდლტონი — კემბრიჯის ჰერცეგოვინას უფროსი და

პიპა ჩოგბურთზე უსაზღვროდ გახლავთ შეყვარებული და, რაღა თქმა უნდა, ენდი მარეის ფანიცაა. იგი პრინც უილიამთან და ქეით მიდლტონთან (პიპას და) ერთად ადევნებდა თვალს 2012 წლის უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალს სამეფო ლოჟიდან. ამავე სეზონში იგი ფაქტობრივად როჯერ ფედერერის პირადი სტუმარი გახლდათ ამერიკის ღია პირველობაზე. საკმაოდ კარგად იცნობს მსოფლიო რეიტინგის პირველ ჩოგან სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს.

4. სერ კლიფ რიჩარდსი — ცნობილი ბრიტანელი პოპ მომღერალი

კლიფის ხილვა ყოველწლიურად შეიძლება უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე. იგი არ აცდენს არც ერთ მნიშვნელოვან მატჩს და ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც წვიმის წამოსვლის დროსაც კი არ გაბრუნებულა სახლში და ჯიუტად ელოდებოდა ტრიბუნებზე რიგით გულშემატკივრებთან ერთად მატჩის გაგრძელებას. მას სპეციალური ფონდიც აქვს შექმნილი, რომელიც ინგლისში ნაკლებად განვითარებულ პროვინციებში არსებულ სკოლებს ფინანსურად ეხმარება, რათა მათ ფიზკულტურის გაკვეთილებისას ჩოგბურთის თამაში ასწავლონ ახალგაზრდებს. რიჩარდსმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ჩოგბურთი ისეთი მაგარი თამაშია, რომ მისით სიამოვნების მიღება ყველა ახალგაზრდასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.“

5. კევინ სფეისი — ცნობილი მსახიობი

მსახიობი ბოლო 10 წლის განმავლობაში ლონდონში ცხოვრობდა და სისტემატიურად სტუმრობდა უიმბლდონის საჩოგბურთო ბატალიებს. 2012 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში და იმავე წელს დაესწრო ამერიკის ღია პირველობის ფინალს, სადაც ენდი მარეიმ 5 სეტში დაამარცხა ნოვაკ ჯოკოვიჩი. სფეისის ნახვა წლეულს ავსტრალიის ღია პირველობას საპატიო სტუმრებს შორისაც შეიძლებოდა. თავისუფალ დროს იგი სიამოვნებით თამაშობს კიდეც ჩოგბურთს და მისი აზრით ბექჰენდზე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს.



6. სერ შონ კონერი — ლეგენდარული მსახიობი, ყოფილი „ჯეიმს ბონდი“

შოტლანდიელი რაინდი – რომელიც 82 წლის გახლავთ, მაგრამ მაინც არ ეზარება უიმბლდონზე სიარული. შარშან იგი მარეის ნახევარფინალურ დაპირისპირებას დაესწრო, რის შემდეგაც ჩოგბურთელის დედასთან ჯუდი მარეისთან და ბრიტანეთში ყველაზე პოპულარულ საფეხბურთო მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონთან ერთად წითელი ღვინოც დააჭაშნიკა.

7. ვილ ფარელი — ამერიკელი მსახიობი და სცენარისტი

ფარელი საჩოგბურთო ელიტაში მიღებული პიროვნებაა, ხშირად შეგიძლიათ ნახოთ საქველმოქმედო აქციებზე, როდესაც იგი ენდი როდიკის და როჯერ ფედერერის მხარდამხარ თამაშობს. დიდი მეგობრობა აკავშირებს მათს ვილანდერთან, რომელიც მისი სპარინგ პარტნიორია.

8. დევიდ კამერონი — ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

მას ისე უყვარს ჩოგბურთის ყურება და თამაში, რომ ერთხელ, როდესაც გადამწყვეტ, მესამე სეტს თამაშობდა ერთ-ერთ სამოყვარულო ტურნირზე, თვით ბარაკ ობამას სატელეფონო ზარსაც კი არ უპასუხა.

9. დონალდ ტრამპი — ცნობილი ბიზნესმენი

მსოფლიოში კიდევ ერთი ცნობილი სახე, რომელიც აქტიურად არის ჩართული დიდ ჩოგბურთში. ტრამპი ხშირად აღნიშნავს, რომ საჩოგბურთო მატჩის და ცხოვრების მიმდინარეობას შორის ბევრ თანხვედრას ხედავს და ხშირად ითვალისწინებს პირად გამოცდილებაში.

10. დევიდ ბექჰემი — ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა

დევიდი ენდი მარეის ახლო მეგობარია და ბოლო წლების განმავლობაში ხშირად ჩანს უიმბლდონის საპატიო ლოჟაში. მათ მალარიის წინააღმდეგ გამართულ საქველმოქმედო აქციაში მხარდამხარ ითამაშეს. „პარი სენ ჟერმენში“ ტრანსფერის შემდეგ ინგლისელი ფეხბურთელი დიდი ალბათობით აქტიურად დაესწრება საფრანგეთის ღია პირველობას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვაზელინმბადი პოლიტიკოსების პრობლემა ქართულ რეალობაში

დასაწყისი მე-6 გვერდზე

უფრო მეტიც, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, თავისი ქმედება ჩერჩილის ქმედებას შეადარა და განაცხადა, რომ როდესაც ჩერჩილი ერთი პარტიიდან მეორეში გადავიდა, მისთვის არავის უთქვამს მოღალატე ხარო.

სამწუხაროდ მე არ ვიცნობ ჩერჩილისდროინდელი ბრიტანეთის ისტორიას და არც იმ პერსონების შესახებ მაქვს წარმოდგენა, ვინც მაშინ ინგლისის შიდაპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე იყვნენ წამოწეულები, მაგრამ დღევანდელი ქართული რეალობისა და საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით, ამავე საზოგადოებაში, გაცილებით უფრო დიდი სიმპათიით სარგებლობენ პიროვნებები, რომლებიც პოზიციებს პოლიტიკური ამინდის ქროლვის მიხედვით არ იცვლიან.

ამ პიროვნებებში იგულისხმება „ნაციონალური მოძრაობის“ თუნდაც ის წევრები, რომელთა მიმართაც ხალხში ყველაზე დიდი აგრესია არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხედულებებისა თუ გამონათქვამების მიმართ საზოგადოებას თავისი არცთუ ლოიალური დამოკიდებულება გააჩნია, მათ მაინც აქვთ ერთი ღირსება, რასაც ბატონი შიხიაშვილი მოკლებულია. ესაა პოზიციის ქონა და ამ პოზიციის დაცვა.

ისევ დიდ კონსტანტინეს მოვიშველიებ. ცნობილია რომ დიდმა მწერალმა ერთ-ერთი კრიტიკოსი, უნივერმაღის კარებს შეადარა და პირდაპირ განუცხადა, რომ საითაც ხელს გკრავენ, იქეთ იღებიო.

სხვათა შორის, 37-იან წლებში, როდესაც კომუნისტურმა რეჟიმმა ასევე უდიდესი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ დააპატიმრა, შემდეგ აწამა და ბოლოს დახვრიტა, ამ კრიტიკოსმა, გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „მოღალატური სიტყვა და საქმე,“ სადაც აღშფოთებას გამოთქვამდა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ „ჯანსაღი ქართული პროლეტარული მწერლების რიგებში, მტრის ნიღაბს ამოფარებული მავნებელი,“ იგივე მიხეილ ჯავახიშვილი შეიპარა.

ამავე კრიტიკოსმა, 50-იანი წლების ბოლოს, ანუ მას შემდეგ, რაც 37-იან წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოხდა, იგივე გაზეთ „კომუნისტში“ ახლა უკვე მეორე სტატია გამოაქვეყნა, სადაც იმის შესახებ მოთქვამდა, თუ როგორ დაუნდობლად გაუსწორდა რეჟიმი ისეთ უნიჭიერს და უდანაშაულო მწერალს, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილია და აცხადებდა, რომ ყველა, ვინც მის რეპრესიაში მიიღო მონაწილეობა, სასტიკად უნდა დაისაჯოსო.

სწორედ ამის და სხვა ასეთი ქმედება-გამონათქვამების გამო შეარქვა დიდმა კონსტანტინემ ამ კრიტიკოსს „უნივერმაღის კარი“ და თუ პლაგიატში არ ჩამეთვლება, ვფიქრობ ეს გამოთქმა დღეს ყველაზე მეტად სწორედ ბატონ შიხიაშვილს მიესადაგება.

ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია მის მიერ, 26 მაისთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები და შეფასებები, როგორც მიხეილ სააკაშვილის, ასევე ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დროს.

თუ საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილის დროს 2011 წლის მაისის საპროტესტო აქციის ლიდერებსა და მონაწილეებს სამშობლოს მოღალატეებად და მეხუთე კოლონად აცხადებდა, პოლიტიკური ტრანსფორმაციის შემდეგ მისი ტონი ოდნავ შერბილდა და დღეს უკვე აცხადებს, რომ მას 26 მაისის ტრაგედიასთან დაკავშირებით, თურმე „დეტალური ინფორმაცია არ ჰქონია,“ თუმცა ვეჭვობ ბატონ შიხიაშვილს დეტალური ინფორმაცია დღეს მაინც ჰქონდეს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში 26 მაისის მონაწილეების მიმართ, მისი ლექსიკა და გამონათქვამები, წესით უნდა შეცვლილიყო. თუმცა წეღან სინდისის ხმა ვახსენე და ამ თემას აღარ დავუბრუნდები.

სხვათა შორის, ბატონ საკრებულოს თავმჯდომარეს, ნავიდან ნავში ხტომის განსაკუთრებული უნარის გარდა, ოდნავი ლოგიკური აზროვნებისა და ანალიტიკის უნარიც უნდა ჰქონდეს, თუმცა როგორც ჩანს, მისი არსება მთლიანად პოლიტიკური „ხოლდის ვირთხობისკენაა“ მიქცეული და ლოგიკისა და ანალიზისთვის დრო აღარ რჩება.

ლოგიკის და ანალიზის ელემენტარული უნარის არსებობის შემთხვევაშიც კი, ბატონი შიხიაშვილი იმას მაინც მიხვდებოდა, რომ მისი საკრებულოს თავმჯდომარეობა სწორედ 26 მაისის დამსახურება და იმ ხალხის თავგანწირვის შედეგია, რომლებიც ქვეყნისთვის, სიცოცხლის რისკზე წავიდნენ. ბევრი დღევანდელი ჩინოვნიკი, 2011 წლის 26 მაისს, მიხეილ სააკაშვილის იმ ორგანოების ფხანით იყო გართული, რომელი ორგანოებით დაკიდებითაც მას რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი დაემუქრა. ეს ჩინოვნიკები დღესაც აქტიურად ცდილობენ ანალოგიური ფუნქცია ახალი მთავრობის პირობებშიც შეიძინონ.

სხვათა შორის, ზუსტად მაშინ, როდესაც მავანნი მიშას მიმართ აღნიშნული მაამებლური ქმედებებით იყვნენ დაკავებულნი, მავანნი კი შიშის გამო ბუჩქებში იყვნენ შემძვრალნი და საჭიროების შემთხვევაში „ნაციონალების“ მზეს ფიცულობდნენ, სწორედ მაშინ, სწორედ 2011 წლის 21 მაისს, ქუჩაში ის 40 ათასამდე ადამიანი გამოვიდა, ვინც მიხეილ სააკაშვილისა და სხვათა შორის ბატონი ირაკლი შიხიაშვილის რეჟიმმაც, ვერ დააშინა, ვერ მოკლა და ვერც მოისყიდა.

სწორედ იმ ხალხის დამსახურებაა ბატონო ირაკლი, რომ თქვენ დღეს ასე გაბედულად გადასკუპდით გამარჯვებული ძალის ნავში, თორემ ჯერ კიდევ ორი წლის წინ, მსგავსი ნაბიჯის შესახებ გაფიქრებაც კი შეგზარავდათ და ტანზე შიშის ბუსუსებს დაგაყრიდათ.

ასე, რომ დღეს ვაჟკაცობაზე თავის დადებას და ამაღლებული თემებით მანიპულირებას არანაირი აზრი აღარ აქვს, ვინაიდან ხალხი ყველაფერს ხედავს და ყველაფერს აფასებს.

უფრო მეტად გასაკვირი კი ის არის, რატომ იღებს მსგავს პერსონაჟებს თავის რიგებში ასე ხელგაშლით ახალი მთავრობა. დიდი ექსპერტული ანალიზის უნარი ნამდვილად არ სჭირდება იმის გათვლას, რომ ასეთი ადამიანები, ნებისმიერი სხვა ძალის წინ წამოსვლის შემთხვევაში, ზუსტად ისეთივე წარმატებით ამოხტებიან „ოცნების ნავიდან“ როგორც მათ ეს ნაციონალების შემთხვევაში გააკეთეს. დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ დაგმობამ, იქედან წამოსვლამ და თავზე ნაცრის ფორმალურად წაყრამ, ლამის ინდულგენციის ძალა შეიძინა, რაც საზოგადოების განწყობაზე, ყბადაღებულ კოჰაბიტაციაზე ნაკლებად არ მოქმედებს.

რაც უფრო მალე გაიფილტრება მსგავსი ვაზელინმბადი წარმონაქმნებისგან ქართული პოლიტიკა, მით უკეთესი იქნება საქართველოსთვის, ხოლო რაც უფრო მალე გაფილტრავს მსგავსი არსებებიგან თავის რიგებს „ქართული ოცნება,“ მით უკეთესი იქნება თავად „ქართული ოცნებისთვის.“

და კიდევ, როგორც ბატონმა საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, თურმე, „თუ ხმას უდროოდ ამოიღებ, მაშინ ვერაფერს უშველი და ვერც შედეგს მიიღებო.“

ანუ ირაკლი შიხიაშვილის აზრით, არც 7 ნოემბერს და არც 26 მაისს ხალხს ხმა არ უნდა ამოეღო, საკუთარი პროტესტი არ უნდა გამოეხატა და ისეთ მონურ მორჩილებაში უნდა ყოფილიყო მიხეილ სააკაშვილთან, როგორც თავად შიხიაშვილი და სხვა მრავალი იყო.

ბატონო ირაკლი, იმ ხალხმა ხმა ამოიღო როდესაც საკუთარი სამშობლოს თავზე მოგროვებული ღრუბელი და საფრთხე დაინახა, იმ ხალხს სხვანაირად არ შეეძლო, იმიტომ რომ ისინი არა თქვენნაირი ლოგიკით აზროვნებდნენ, არამედ საკუთარი ქვეყნის გასაჭირი სტკიოდათ, მაგრამ ამას თქვენ სავარაუდოდ ვერასოდეს გაიგებთ.

ისე კი საინტერესოა, შემთხვევით, რომ იმ ხალხის ადგილზე აღმოჩენილიყავით, ვისაც ოჯახის წევრები დაუხოცეს, ვისაც ღირსება წაართვეს და ფეხქვეშ გაუთელეს, აღარაფერს ვამბობ სხვა საშინელებებზე და ავადმყოფობებზე, მაშინაც „შესაფერის დროს დაელოდებოდით?“

რაც შეეხება შედეგს, რომელიც თქვენი თქმით, „დროულად ხმის ამოღების“ შემდეგ დგება, ამ კუთხით ვერ მოგედავებით. შედეგი აშკარად სახეზეა, – თქვენ დღეს დედაქალაქის საკრებულოს თავმჯომარის თანამდებობა გიჭირავთ.

სააგენტო ნიუსპრესი
ალეკო ჩუბინიძე

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ია შალვა, შვილები პაატა და თინიკო ლეჟავები, სიძე რუსლან ფოჩხიძე, შვილიშვილები ხატია და ლექსო ფოჩხიძეები, სოფიკო ლეჟავა, და ლეილა რეხვიაშვილი, ძმა ბორია მალაქშანიძე, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

ლილი გერასიმეს ასულ მალაქშანიძეს

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 12, 13 სექტემბერს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 14 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, დიდი დიღომი, პეტრიწის ქ.№10, ბინა №45.

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელა“ ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ორგანიზაციის თანამშრომლის ინეზა ხუხუნაიშვილის დედის, ქალბატონ

რიმა დოლიძე-ხუხუნაიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 11 სექტემბერი

08.00 დ/ფ " სკეიტბორდის ისტორია" **09.00** საბ. მხ/ფ "**ნენსი დრიუ**" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**გზა და კავშირი**" (კ.ბეიკონი) **14.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**ამერიკის საიდუმლო**" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/ სლოვენიიდან.) **00.50** მხ/ფ "**სასიკვდილო იარაღი-3**" (მ.გიბსონი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **7** ნან. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**სამეფო სასახლე**" (კ.დენევი)

07.30 ს დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** ს დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **3** სერ. **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** იურმალა (გ/ჩ) **00.45** მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" (ჯ. ბინოში")

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუადღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** სერ."**დასასრული**" **00.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**"II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე შუშანიკი" (მამა ზურაბ მჭედლიშვილი) **10.50** საღვთისმეტყველო საუბრები - დეკანოზი ლევან მათეშვილი- იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების შესახებ **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.50** კონცერტი - ანს."სახიობა" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** "თვენი" წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** იოანე ნათლისმცემლის შობა **23.40** "ჩვენი ფონდი" იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიის შესახებ (ნ.ბურჭულაძე) **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. **02.00** ირაო

მაესტრო **7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **10.15, 16.00 სერ.** "**ღრუბლებს მიღმა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.40, 2.00, 6.00** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები" **19.00 სერ.** "**1001 ღამე**" **21.45 სერიალი** "**დიდებული საუკუნე**" **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6615	ევრო — 2,192
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6047	100 რუსული რუბლი — 4,9859

ამინდის პროგნოზი 11 სექტემბრისთვის

მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

ჩოგბურთის მდიდარი გულშემატკივრები

ჩოგბურთს პლანეტის მასშტაბით ასეულ მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. მათ შორის უამრავი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანია. ჩვენ კი ჩოგბურთის ქომაგთა შორის ყველაზე პოპულარული ადამიანების ათეულს გთავაზობთ.

1. ელტონ ჯონი — ბრიტანელი ლეგენდარული მომღერალი

იგი ხშირად ესწრება დიდ საჩოგბურთო ბატალიებს მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე. პოპმუსიკოსის ფავორიტები ენდი როდიკი და სერენა უილიამსი არიან. 2012 წელს ცნობილმა მომღერალმა მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო აქციაში, რომელიც ცნობილი ჩოგბურთელების მიერ იქნა ორგანიზებული. ამ მოვლენის შესახებ ჯონმა მცირე კომენტარი გააკეთა: „მე უკვე დიდი ხანია, რაც ჩოგბურთის გულშემატკივარი ვარ. უდიდეს სიამოვნებას ვიღებ სპორტის ამ სახეობისაგან. ასეთი ტიპის საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა საშუალებას მაძლევს ჩემი კერპების წინააღმდეგ ვითამაშო და გამოვცადო საკუთარი ძალა.“

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ცხენოსანი ჯარი; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 4. კიბის ნაწილი ორ ბაქანს შორის მრავალსართულიან სახლებში; 5. გაზაფხულის ყვავილი; 11. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 12. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 14. ღვინის პატარა ქვევრი; 16. ჩეხი კომპოზიტორი; 17. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ლუდის სასმელი ჭიქა.

თარაზულად: 6. იტალიური სადესერტო წითელი ფერის ტკბილი ღვინო; 7. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 8. მდინარე ბერლინში; 9. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურებების მოშლა და აღრევა ხალხის ტრადიციებში; 18. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 21. წყალგარეული ღვინო; 23. სახელმწიფო კავკასიაში; 24. მოძრავი სკამი ნიჩბოსანთა ნავში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



გოგი ჭიჭინაძე ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს უხელმძღვანელებს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს უხელმძღვანელებს. როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, პარასკევს გოგი ჭიჭინაძე თეატრის დასის წინაშე ოფიციალურად წარდგება.

„ახალი თაობა“ გოგი ჭიჭინაძეს დაუკავშირდა და გაარკვია, რომ დირიჟორს უკვე კონკრეტული პროგრამა და გეგმები აქვს გაწერილი, თუროგორ აქციოს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მსოფლიოში წარმატებულად.

გოგი ჭიჭინაძე:

– პარასკევს უკვე ოფიციალურად შევხვდები ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წევრებს. ჟურნალისტებისგან ყოველთვის ვგრძნობდი მხარდაჭერას და ახლაც მჯერა, რომ როცა ქუთაისში კარგ საქმეებს გავაკეთებთ, თქვენც მხარში ამოგვიდგებით.

– რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ეს გადაწყვეტილება?

– ეს ჩემთვის ნამდვილად არ იყო მოულოდნელი გადაწყვეტილება. იცით, რატომ? რამდენიმე დღით ადრე ჩემთან მოვიდნენ ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენლები და მომიყვნენ, რომ აპირებდნენ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის აღზევებას, ოღონდ აღზევებას ძალიან მაღალ დონეზე, ისე კი არა, რომ ცოტა რაღაც გამოსწორდეს, არამედ ძალიან სერიოზულად. მართალი რომ გითხრათ, ამას ცოტა ღიმილით შევხვდი. მათ იცოდნენ ყველაფერი ჩემ შესახებ, ისიც იცოდნენ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არ ვდირიჟორობ საერთოდ სტაციონარულ არც ორკესტრებს და არც ოპერას საქართველოში.

– რატომ?

– იმიტომ, რომ უკიდურესად დაბალი დონეა დღეს ქართულ ორკესტრებში. ამას ხაზგასმით ვამბობ, უკიდურესად დაბალი დონეა. ამ ჩემი საქციელით მინდოდა მიმექცია ყურადღება იმ ადამიანებისა, რომლებსაც ამ ყველაფრის გამოსწორება შეუძლიათ. ამას კი შესაბამისი ინვესტიციები და ბიუჯეტი სჭირდება. ქუთაისიდან ჩამოსულებმა მკითხეს, რა შეიძლება გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად და რა მოთხოვნები მქონდა პირადად მე, რომ ის სრულად დაკმაყოფილებულიყო და დავთანხმებოდი, ვყოფილიყავი ქუთაისში სამხატვრო ხელმძღვანელი.

– რამდენი წელია, აღარ გიდირიჟორიათ ქართული ორკესტრებისთვის?

– რამდენიმე წელია. მას შემდეგ, რაც 2009 წლის დასაწყისში გამომადგეს ოპერიდან.

– რის გამო?

– პოლიტიკურ ნიადაგზე. იმის შემდეგ საერთოდ უარს ვამბობდი არა მარტო ოპერაში, არამედ სხვა ორკესტრებშიც დირიჟორობაზე და ეს რამდენჯერმე გამიჟღერებია. ჩვენთან უკიდურესად დაბალი დონეა. ჩვენთან კადრი პრაქტიკულად აღარ არსებობს. საორკესტრო შემსრულებლების დარგი დღესდღეობით საქართველოში არის მკვდარი. მე კონსერვატორიის პროფესორი ვარ და კათედრის გამგე და მინდა გითხართ, რომ არის ქრონიკული „ნედაბორი“. ბავშვები ვეღარ მოდიან კონსერვატორიამდე, განსაკუთრებით საორკესტრო ფაკულტეტზე, სადაც საორკესტრო ინსტრუმენტებზე დაკვრას ასწავლიან. ქრონიკული დანაკლისია. წარ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

აჩიკო ნიჟარაძემ გრანპრი მოიპოვა

ეკა ირემაშვილი

მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ ესტონეთში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე „ლაგნა ლაულ 2013“ გრანპრი მოიპოვა. კონკურსი, რომელიც წელს მეხუთედ ჩატარდა, ქართველი მომღერლისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

როგორც რუსული გამოცემები იტყობინებიან, წელს ფესტივალში მონაწილეობდა 12 ქვეყნის 26 წარმომადგენელი. მათი ასაკი 16-დან 35 წლამდე მერყეობდა. საკონკურსო კონცერტები ესტონეთის კულტურულ ცენტრში „ლინდაკივი“ ჩატარდა, ჟიურიში კი ესტონეთის ცნობილი კომპოზიტორები, პროდიუსერები, მუსიკოსები და კომპოზიტორები გაერთიანდნენ.

ჟიურიმ კონკურსის განმავლობაში მოუსმინა საქართველოს, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდოვის, ყაზახეთის, ისრაელის, სომხეთის, ბულგარეთის, ყირგიზეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. კონკურსში მონაწილეებმა ორი საკონკურსო ტური გაიარეს. პირველ ტურში მათ მშობლიური ქვეყნის სიმღერა უნდა შესულებინათ, მეორე ტურში კი – მსოფლიო ჰიტი. აჩიკო ნიჟარაძემ კონკურსისთვის ზურაბ მჟავიას სიმღერა „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო“ შეასრულა, რომელსაც თავის დროზე გოგი დოლიძე მღეროდა. სიმღერამ იმდენად მოხიბლა ჟიური, რომ პირველივე საკონკურსო დღეს ქართველი კონკურსანტი პირველ ადგილზე აღმოჩნდა. რაც შეეხება მსოფლიო ჰიტს აჩიკო ნიჟარაძემ არჩევანი სიმღერაზე „ნიუ იორკ ნიუ იორკ“ შეაჩერა, რომელსაც ფრენკ სინატრა მღეროდა. ქართველი მომღერლის საკონკურსო რეპერტუარში აღმოჩნდა შარლ აზნავურის სიმღერაც, რამაც მას საბოლოოდ გამარჯვება და გრანპრი მოუტანა.

როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ბევრი კონკურსანტი ამ ღონისძიებაზე პირველად არ იყო და წარმატების მიღწევა რამდენჯერმე სცადა. ჟიურის წევრების თქმით კი მსგავსი კონკურსები ახალბედა მომღერლებისთვის საკმაოდ რთულია, თავად კონკურსანტებმა კი აღიარეს, რომ ესტონეთში დაგეგმილი ღონისძიებისთვის თვეების განმავლობაში ემზადებოდნენ და ყველაფერი გააკეთეს ამ კონკურსის ჟიურის წევრების გულის მოსაგებად.

აჩიკო ნიჟარაძემ გადაწყვიტა, თავის შემოქმედებით პაუზას წერტილი დაუსვას და აქტიური საკონკურსო ცხოვრება დაიწყოს. ორიოდე თვის წინ მან „სლავიანსკი ბაზარზე“ მეორე ადგილი მოიპოვა, ახლა კი საქართველოში გრანპრით დაბრუნდა. კონკურსის ორგანიზატორებმა აჩიკო ნიჟარაძეს ფულადი ჯილდო 2.000 ევრო გადასცეს, საგანგებო პრიზიც აჩუქეს და ხელდამშვენებული გამოუშვეს სამშობლოში.

ქართველი მომღერალი ამ კონკურსზე, ისევე როგორც „სლავიანსკი ბაზარზე“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გაემგზავრა. როგორც წინა კონკურსი, ესტონეთის კონკურსიც საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა. აჩიკო ნიჟარაძემ შეთავაზებები სხვადასხვა ქვეყნებში დაგეგმილი კონკურსებიდან მიიღო.

თუსად გაემგზავრება ქართველი მომღერალი და რომელი ქვეყნის კონკურსს მიანიჭებს უპირატესობას, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ.

როგი წავიდა — ვინ იქნება ახალი?

გუშინ, გვიან ღამით, ბუენოს-აირესში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგით მეცხრე პრეზიდენტს აირჩევდნენ... სერგეი ბუბკა თუ თომატ ბახი? მთავარი ბრძოლა ამ ორ კანდიდატს შორის იქნებოდა. იმედია, პროგნოზში არ შევცდებით.

ჟაკ როგმა პოსტი ოფიციალურად დატოვა. აწ უკვე პრეზიდენტის თქმით, მის ხელში, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ოლიმპიურმა კომიტეტმა საოცარი ფინანსური ზრდა განიცადა, რისი მთავარი მიზეზიც სპონსორებიდან და სატელევიზიო უფლებების გაყიდვიდან მიღებული თანხებია.

მას შემდეგ, რაც 2001 წელს როგმა პოსტი ხუან ანატონიო სამარნჩისგან გადაიბარა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფინანსურმა რეზერვებმა 2012 წლისთვის 1 მილიარდ დოლარს მიაღწია, 12 წლის წინანდელი მდგომარეობით, ეს თანხა 105 მილიონი იყო.

ჟაკ როგი:

– 2001 წლის 31 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, კომიტეტის ფინანსური რეზერვები 105 მილიონიდან 901 მილიონამდე გაიზარდა. ეს კი საშუალებას მისცემს ოლიმპიურ კომიტეტს, ოლიმპიური მოძრაობის კრიზისის პირობებში ფუნქციონირება გააგრძელოს. 2014-16 წლების სატელევიზიო უფლებების გაყიდვისგან მიღებულმა შემოსავალმა 4 მილიარდი შეადგინა, რაც ფაქტობრივად ორჯერ მეტია 2002-04 წლებში მიღებულ ანალოგიურ შემოსავალზე, ხოლო 2013-16 წლების სასპონსორო თანხებმა, ათი კომპანიისგან, ჯამში 1 მილიარდი შეადგინა, როდესაც 2001-04 წლებში ეს ციფრი 663 მილიონი იყო.

ვერაფერს ვიტყვით, კარგი მემკვიდრეობაა. ვნახოთ, ვინ და როგორ გააგრძელებს მის საქმიანობას.

მ. ჟ.

ასტროპროგნოზი

11 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ვერძი — მშვიდად იმოქმედეთ, აჩქარება არ გარგებთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — თქვენი საქმე კარგად წავა. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვიდად იყავით, ნუ აყვებით ჭორებს. **მერწყული** — წარმატებული ადამიანის იმიჯი გშვენით. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!